პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 43-ე წელი | № 6 (12518) | სამშაბათი, 8 იანვარი, 1963 წ. | ფასი 2 კაპ.

შვიდწლედის მეხუთე წლის პირველი დღეები — ᲞᲠᲝᲛᲘᲗᲘᲡ ᲕᲐᲮᲢᲖᲔ

თბილისის ბამბის ფაბრიკის კოლექტივი ახალი ენერგიით შეუდგა შვიდწლედის მეხუთე წლის ზღუდეების დაპყრობას. იანვრის ხუთ დღეში ფაბრიკის ყველა უბანსა და ბრიგადას კარგი შრომითი მაჩვენებლები აქვს. აღსანიშნავია ბამბის გამომშვები საამქროს მუშების მუყაითი შრომა. გეგმის გადამეტებით 1.200 კილოგრამმა ბამბა „პრიმა“ მისცეს სამშობლოს, სამი პროცენტით გაზარდეს შრომის ნაყოფიერება, შეამცირეს პროდუქციის თვითღირებულება და ამით 678 მანეთი მოგება მისცეს ფაბრიკას.

ფაბრიკის ბრიგადებს შორის კარგი შრომითი მაჩვენებლები აქვს სულიკო გულუაშვილის ბრიგადას, რომელმაც ხუთი დღის დავალება 105 პროცენტით გაანადღა და გეგმის გადამეტებით 180 კილოგრამი პირველი ხარისხის ბამბა გამოუშვა.

კარგად იშრომეს აგრეთვე გ. ციმაკურიძემ, ე. ჩალაძემ და ვ. ვეფხოლოვამ. მათ ხუთ დღეში გეგმის ზევით 870 მეტრი პირველი ხარისხის ვატინი გამოუშვეს.

ᲭᲘᲐᲗᲣᲠᲐ. (საკ. კორ.). შვიდწლედის მეხუთე წლის პირველი დღეებიდანვე შრომის მაღალი ტემპი აიღეს ლენინისა და ორჯონიკიძის სახელობის [illegible] როთა კოლექტივებმა. ორივე მაღაროს ყოველდღიური [illegible] 110-110 პროცენტით ასრულებს.

ლენინის სახელობის მაღაროში ყველას გაუწყრო კომუნისტური შრომის უბანმა, რომელსაც ინჟინერი ი. ყავაძე ხელმძღვანელობს. ამ უბანმა [illegible] დღეში გეგმის გადამეტებით 120 ტონა მარგანეცი გამოიღო. ამავე მაღაროში წარმატებით მუშაობს ის უბანი, რომელსაც გ. გაგნიძე უძღვება. ორჯონიკიძის სახელობის მაღაროში ყველას გაუსწრო კომუნისტური შრომის ბრიგადამ, რომელსაც მ. კენჭოშვილი ხელმძღვანელობს.

განვამტკიცოთ კომუნისტური მოძრაობის ერთიანობა მშვიდობისა და სოციალიზმის გამარჯვებისათვის

ᲞᲠᲐᲕᲓᲐ

7 იანვრის

სარედაქციო სტატია

კაცობრიობა ამჟამად თავისი განვითარების ერთ-ერთ უაღრესად პასუხსაგებ ეტაპზე იმყოფება. ეს ეტაპი აღსავსეა უდიდესი მოვლენებით და სოციალიზმის ძალების მწვავე შეტაკებებით იმპერიალიზმის, რეაქციისა და ომის ძალებთან. ახალი სამყარო—სოციალიზმის, თავისუფლებისა და ბედნიერების, კაცობრიობის ნამდვილი გაზაფხულის სამყარო — მტკიცდება და ფართოვდება, ავიწროებს ძველ სამყაროს—კაპიტალიზმის, ძალმომრეობისა და ექსპლოატაციის სამყაროს. 1962 წლის შედეგები ამის ახალი თვალსაჩინო დადასტურებაა.

საბჭოთა კავშირის, სოციალიზმის სხვა ქვეყნების საგარეოპოლიტიკური საქმიანობის, კუბელი ხალხის, მთელი მშვიდობისმოყვარე ძალების გმირული ბრძოლის მთავარი შედეგი განვლილ წელს ის არის, რომ ჩაიფუშა კუბაზე თავდასხმა, რომელიც გულდასმით მოამზადეს ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიულმა იმპერიალისტურმა წრეებმა. სოციალისტური კუბა დაცულია და მტკიცე რწმენით გაგრძობს თავის ძლევამოსილ გზას. თავიდან აშორებულია მსოფლიო თერმოატომური ომის საფრთხე, რომელიც კაცობრიობას მოევლინა. ერთხელ კიდევ დამტკიცებულია, რომ სოციალიზმისა და მშვიდობის ძალებს შეუძლიათ ალაგმონ იმპერიალისტი აგრესორები.

საბჭოთა ხალხის, სხვა სოციალისტური ქვეყნების მშრომელთა შემოქმედებითი საქმიანობის მთავარი შედეგია ეკონომიკისა და კულტურის მძლავრი აღმავლობა, სოციალისტური თანამეგობრობის ძლიერების განმტკიცება, მისი საერთაშორისო ავტორიტეტისა და გავლენის ზრდა.

ეროვნულ - განმათავისუფლებელი მოძრაობის მთავარი შედეგია განმათავისუფლებელი ანტიიმპერიალისტური რევოლუციების გამარჯვება ყოფილი კოლონიური სამყაროს გიგანტურ სივრცეებზე, ამ მოძრაობის აყვანა ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე.

კაპიტალისტურ ქვეყნებში მუშათა მოძრაობის მთავარი შედეგია ის, რომ უმწვავეს კლასობრივ ბრძოლებში ჩაბმული არიან მშრომელთა ახალი ფენები, გაძლიერდა ბრძოლა მონოპოლისტური კაპიტალის ბატონობისა და თვითნებობის წინააღმდეგ, გაიზარდა კომუნისტური პარტიებისა და სოციალიზმის იდეების გავლენა.

საერთაშორისო კომუნისტურმა მოძრაობამ შესანიშნავი წარმატებანი მოიპოვა. და ეს უწინარეს ყოვლისა იმიტომ, რომ თავისი ბრძოლის ყველა ეტაპზე იგი წმიდად იცავდა მარქსიზმ-ლენინიზმის დროშის ერთგულებას, მთელ თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობდა ამ ძლევამოსილი მოძღვრებით. 1957 და 1960 წლების მოსკოვის თათბირებზე კომუნისტებმა შეიმუშავეს სტრატეგიული და ტაქტიკური ხაზი, რომელიც შეესაბამება ახალ ისტორიულ პირობებს. მსოფლიო განვითარების მსვლელობა უცილობლად ადასტურებს, რომ ამ ხაზის ერთგულად დაცვა, კომუნისტური მოძრაობის ერთობა ყველა გამარჯვების საწინდარია.

სწორედ მოსკოვის თათბირების დოკუმენტების საფუძველზე, რომლებშიც განსახიერებული და განვითარებულია სკკპ XX ყრილობის ლენინური ხაზი, რასაც მხარი დაუჭირეს მოძმე პარტიებმა, მსოფლიო კომუნისტურმა მოძრაობამ განახორციელა მძლავრი წინსვლა ყველა მიმართულებით. იმპერიალიზმის წინააღმდეგ საყოველთაო მშვიდობისა და სოციალიზმის გამარჯვებისათვის აქტიური ბრძოლის ლენინურმა სტრატეგიამ უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, აღამაღლა კომუნისტური იდეოლოგია. ხალხთა შეგნებაში შერწყმულია კომუნიზმი და მშვიდობა. გაბათილებულია იმპერიალისტების მთავარი თეზისი, რომელიც მათ გამოიყენეს გამალებული შეიარაღებისათვის, ომის მომზადებისათვის, — თეზისი სსრ კავშირის ვითომდა აგრესიულობის შესახებ. მთელი თავისი მოქმედებით, მთელი თავისი პოლიტიკით საბჭოთა კავშირმა დაამტკიცა, რომ იგი მშვიდობის მთავარი ბასტიონია, შეურიგებელი მებრძოლია იმპერიალიზმის წინააღმდეგ. მრავალი მაგალითით ხალხები რწმუნდებიან, რომ კომუნიზმი იხსნის მშვიდობას თერმოატომური ომისაგან, რომ კომუნისტები მშვიდობის ყველაზე მტკიცე და თანმიმდევრული დამცველები არიან. და ეს თანამედროვე პირობებში კომუნისტთა გავლენის გაფართოების ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტორია.

ბულგარეთის, უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიისა - და იტალიის კომუნისტური და მუშათა პარტიების ამას წინათ გამართულმა ყრილობებმა ცხადყვეს, თუ რა კეთილნაყოფიერ შედეგებს იძლევა როგორც სოციალისტური, ისე კაპიტალისტური ქვეყნების კომპარტიებისათვის საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის სტრატეგიული და ტაქტიკური ხაზის განუხრელი განხორციელება.

ბულგარეთის, უნგრეთისა და ჩეხოსლოვაკიის მომმე პარტიების ყრილობებმა განსაზღვრეს სოციალიზმის მშენებლობის დამთავრებისა და კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაზე თანდათანობით გადასვლის გზები, იტალიის მომმე კომპარტიის ყრილობამ დასახა ვრცელი ღონისძიებანი მონოპოლისტური კაპიტალის წინააღმდეგ, მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლის გასაძლიერებლად. ამ ყრილობებმა სერიოზული წვლილი შეიტანეს სოციალიზმის მშენებლობის დამთავრებაზე საბჭოთა კავშირში, ხალხთა დემოკრატიის ქვეყნების გადასვლის საკითხის მარქსისტულ-ლენინურ დამუშავებაში, ხელი შეუწყეს კომუნისტური მოძრაობის შეკავშირებას. მოძმე პარტიების ყრილობებმა დარაზმეს მშრომელთა ფართო მასები სოციალიზმის გამარჯვებისათვის გადამწყვეტი ბრძოლის გასაჩაღებლად, იმპერიალიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად.

საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობა სწორ მარქსისტულ-ლენინურ გზაზეა. მის წინაშე დასახულია შესანიშნავი პერსპექტივები. მთავარი, რაც კომუნისტებს მოეთხოვებათ, არის შემუშავებული ლენინური კურსის ერთგულება, მათი რიგების შეკავშირება.

მაგრამ საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის რიგებში, სამწუხაროდ, ვრცელდება შეხედულებანი, რომლებიც თავისი მახვილით მიმართულია მარქსიზმ-ლენინიზმის მთელ რიგ ძირითად დებულებათა წინააღმდეგ, მომმე პარტიების შეკავშირების ძირგამოსათხრელად. ამ დოგმატურ, გამთიშველ, ლენინიზმისადმი უაღრესად მტრულ შეხედულებათა ყველაზე აშკარა გამომხატველია ალბანეთის შრომის პარტიის ხელმძღვანელი ზედაფენა.

სკკპ XXII ყრილობის, ხოლო შემდეგ ბულგარეთის, უნგრეთის, იტალიისა და ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური და მუშათა პარტიების ყრილობათა ტრიბუნიდან ჩინეთის კომპარტიის დელეგაციები ამტკიცებდნენ, რომ მცდარი იყო ალბანეთის ხელმძღვანელთა გეზის აშკარა კრიტიკა, და ცდილობდნენ პასუხისმგებლობა წარმოშობილი უთანხმოებისათვის დაეკისრებინათ მომმე პარტიებისათვის. ძაგრამ ასეთი რამის მტკიცება იმას ნიშნავს, რომ გავილაშქროთ უცილობელი ფაქტების წინააღმდეგ, მოვხსნათ პასუხისმგებლობა იმათ, ვინც სინამდვილეში იბრძვის მარქსისტულ-ლენინური პარტიების ერთიანი ხაზის წინააღმდეგ.

საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობისათვის ცნობილია, რომ სკკპ XX ყრილობის ხაზის, 1957 წლის დეკლარაციის დებულებათა წინააღმდეგ პირდაპირი იერიშებით ალბანეთის ხელმძღვანელები გამოვიდნენ ჯერ კიდევ ოთხმოცდაერთი კომპარტიის თათბირზე 1960 წლის ნოემბერში. მათ უკვე მაშინ განაცხადეს, რომ არ ეთანხმებიან სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკას, ბრძოლას განიარაღებისათვის და სადავო საკითხების მშვიდობიანი მოწესრიგებისათვის მოლაპარაკების გზით, დებულებას სოციალიზმზე გადასვლის ფორმების მრავალფეროვნების შესახებ.

ალბანეთის შრომის პარტიის ხელმძღვანელთა ანტილენინური ხაზს მტკიცე წინააღმდეგობა გაუწიეს 1960 წლის თათბირის მონაწილეებმა. მაგრამ ალბანეთის ხელმძღვანელებმა ყური არ უგდეს გონების ხმას. იმის ნაცვლად, რომ ყური ეგდო გამოცდილი, გამოწრთობილი მარქსისტულ-ლენინური პარტიების წარმომადგენელთა გაფრთხილებისათვის, ალბანეთის შრომის პარტიის ზედაფენამ აშკარა გააფთრებული ლაშქრობა წამოიწყო მარქსიზმ-ლენინიზმის წინააღმდეგ, 81 პარტიის განცხადების წინააღმდეგ, თავს დაატეხა მოძმე პარტიებს ცილისწამება და მონაჭორები, რომლებსაც ამჟამად ბევრი აშკარა ანტიკომუნისტიც კი არ მიმართავს.

ალბანეთის შრომის პარტიის უკვე IV ყრილობაზე, რომელიც 1961 წლის თებერვალში გაიმართა, ალბანეთის ზედაფენამ გაილაშქრა კომუნისტური პარტიების თათბირის მიერ მიღებული განცხადებისა და მთელი მსოფლიოს ხალხებისადმი მიმართვის ძირითად დებულებათა წინააღმდეგ და დაუპირისპირა მათ თავისი, განსაკუთრებული პოზიცია.

ეს პოზიცია მალე ცნობილი გახდა მთელი მსოფლიოსთვის. საერთაშორისო რეაქცია მალე მიხვდა, თუ ვის ემსახურება სინამდვილეში ალბანეთის ზედაფენა, და დაიწყო მის მიერ აღებული გეზის — კომუნისტური მოძრაობისაგან, სოციალიზმის ბანაკისაგან, უწინარეს ყოვლისა საბჭოთა კავშირისაგან გათიშვის გეზის ქება. უკვე 1961 წლის 19 მაისს, ესე იგი დიდი ხნით ადრე სკკპ XXII ყრილობამდე, ინგლისური გაზეთი „სკოტსმენი“ წერდა: „ალბანეთის თავვრობამ დაწვა თავისი ხიდები საბჭოთა კავშირთან ურთიერთობაში, როგორც ჩანს, სამუდამოდ“. მეორე ინგლისური გაზეთი „დეილი ტელეგრაფი“ 1961 წლის 3 ივნისს აღნიშნავდა, რომ ალბანეთში კამპანიამ სსრ კავშირის წინააღმდეგ „უკანასკნელ კვირეებში კულმინაციურ მომენტს მიაღწია“.

ალბანეთის შრომის პარტიის ხელმძღვანელობის მიერ დაკავებულმა პოზიციამ დიდი შეშფოთება გამოიწვია საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიაში, ყველა კომუნისტურ პარტიაში, რომლებისთვისაც ძვირფასია ჩვენი რიგების ერთიანობა. მტკიცედ იცავს რა პრინციპს, რომლებიც მოითხოვს საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობაში სადავო საკითხების გადაჭრას პარტიებს შორის აზრთა გაზიარებისა და ურთიერთკონსულტაციების გზით, სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა ჯერ კიდევ 1960 წლის აგვისტოში ორჯერ მიმართა ალბანეთის შრომის პარტიის ცენტრალურ კომიტეტს წინადადებით მოეწყოს ორი პარტიის წარმომადგენელთა შეხვედრა. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1960 წლის 13 აგვისტოს წერილში ალბანეთის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი ნათქვამი იყო: „სწორი იქნებოდა დროზე ჩაგვექრო ნაპერწკალი წარმოშობილი დაუდევრობისა, რათა არ გაღვივდეს იგი... თუ ალბანეთის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტი იზიარებს ჩვენს თვალსაზრისს და არ არის აზრთა გაზიარების წინააღმდეგი, ჩვენ მზად ვართ შევხვდეთ თქვენი პარტიის დელეგაციას ყოველ დონეზე, თქვენთვის მოსახერხებელ ყოველ დროს“. ალბანეთის ხელმძღვანელებმა უარყვეს ეს წინადადებანი. მათ უარყვეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ყველა ცდა ნორმალური გაეხადა ურთიერთობა.

საკითხავია: ვიღამ დაარღვია კონსულტაციების პრინციპი? ვინ დაიწყო გალაშქრება კომუნისტური მოძრაობის წინააღმდეგ, მის მიერ კოლექტიურად შემუშავებული პროგრამული დოკუმენტების წინააღმდეგ და განაგრძობს ამას უკვე რამდენიმე წელია? რა ვუწოდოთ იმათ მტკიცებას, ვინც სიმართლეს სიცრუით ცვლის და, უგულებელყოფს რა საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ნებას, აშკარად აქეზებს გამთიშველებს, ავრცელებს მათს შეხედულებებს და იცავს მათ სამართლიანი კრიტიკისაგან?

სკკპ XXII ყრილობის ტრიბუნიდან ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა თქვა: „ჩვენ ვიზიარებთ ჩვენი ჩინელი მეგობრების შეშფოთებას, ვაფასებთ მათს ზრუნვას ერთიანობის განმტკიცებისათვის. თუ ჩინელ ამხანაგებს სურთ თავიანთი მეცადინეობა მოახმარონ მომმე პარტიებთან ალბანეთის შრომის პარტიის ურთიერთობის ნორმალიზაციას, ამ ამოცანის გადაჭრას ვერავინ ვერ შეუწყობს ხელს უკეთ, ვიდრე ჩინეთის კომუნისტური პარტია, ეს მართლაც სასარგებლო იქნებოდა ალბანეთის შრომის პარტიისათვის, სოციალისტური ქვეყნების მთელი თანამეგობრობის ინტერესების შესაბამისი იქნებოდა“.

სამწუხაროდ, მდგომარეობა არათუ არ გაუმჯობესებულა, არამედ კიდევ უფრო გაუარესდა. ალბანეთის ხელმძღვანელები აშკარად წყვეტენ კავშირს კომუნისტურ მოძრაობასთან, მარქსიზმ-ლენინიზმთან, სულ უფრო ღრმად ეფლობიან დოგმატიზმის, სექტანტობისა და გაბოროტებული ნაციონალიზმის ჭაობში, სულ უფრო ფართოდ იყენებენ მარქსიზმისათვის უცხო პიროვნების კულტის მეთოდებს.

ბუნებრივია, რომ მარქსისტ-ლენინელები ვერ შეურიგდებოდნენ და ვერ შეურიგდებიან დეკლარაციისა და განცხადების დებულებათა ფეხქვეშ გათელვას, არ შეეძლო არ დამდგარიყვნენ მთელი სიმტკიცით კომუნისტური პრინციპების დასაცავად. ამიტომ ცხადია საწყენი უნდა იყოს არა ის, რომ ბულგარეთის, უნგრეთის, იტალიისა და ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური და მუშათა პარტიების ამასწინანდელ ყრილობებზე გაკრიტიკებული იყო ალბანეთის ხელმძღვანელთა ანტილენინური პოზიცია, არამედ ის, რომ არიან ადამიანები, რომლებიც ილაშქრებენ ამ პარტიების წინააღმდეგ, ვინც იცავს მოსკოვის თათბირების დროშას.

დავა იმის შესახებ, თუ რა გეზი უნდა განახორციელოს კომუნისტურმა მოძრაობამ, განყენებული კი არა, ღრმად პრინციპული დავაა, რომელსაც უპირველესი მნიშვნელობა აქვს. მარქსიზმ-ლენინელთა გეზი — სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის განმტკიცების სოციალიზმისა და კაპიტალიზმის ეკონომიური შეჯიბრებისა და ამ პირობებში კომუნიზმის გამარჯვების უზრუნველყოფის გეზი ჩვენს მოძრაობას აძლევს უმაგალითო მიმზიდველ ძალას, იზიდავს თავის მხარეზე ხალხის უფართოეს მასებს. ხოლო გეზი, რომლის თავს მოხვევას ცდილობენ სექტანტები და დოგმატიკოსები, ეს ის გეზია, რომ არ სწამდეთ კომუნიზმის, ხალხის მასების ძალები, არ სწამდეთ, რომ სოციალიზმის გამარჯვება ახალ ქვეყნებში შესაძლებელია ისე, რომ არ იყოს ომი სახელმწიფოთა შორის, არ იყოს მსოფლიო ომი. ასეთი გეზის გამო, იგი რომ დამკვიდრებულიყო, კაპიტალისტური ქვეყნების ხალხები ჩამოშორდებოდნენ სოციალიზმის ქვეყნებს, მილიონობით ადამიანი ჩამოშორდებოდა კომუნისტურ მოძრაობას, იგი გამოიწვევდა კომუნისტების იზოლაციას, შეაფერხებდა ხალხთა განმათავისუფლებელი ბრძოლის მთელ პროცესს.

თანამედროვეობის ყველაზე დიდმნიშვნელოვანი, ყველაზე საარსებო პრობლემაა ომისა და მშვიდობის პრობლემა. ცხოვრებაში საკითხი ასე დგას: ან სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობა ან დამანგრეველი ომი. სხვა გამოსავალი არ არის. საკითხავია: რა პოზიცია უნდა დაიკავონ კომუნისტებმა? მხოლოდ ერთი — მშვიდობიანი თანაარსებობის პოზიცია, საერთაშორისო მუშათა და განმათავისუფლებელი მოძრაობა აწარმოებს დიად შეტევით ბრძოლას იმპერიალიზმის წინააღმდეგ მშვიდობიანი თანაარსებობის პირობებში. სოციალისტურ ქვეყნებს ომი არ სჭირდებათ. ისინი წარმატებით ვითარდებიან მშვიდობის პირობებში და გამარჯვებას მოიპოვებენ კაპიტალიზმთან მშვიდობიან ეკონომიურ შეჯიბრებაში, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნება იმისათვის, რომ ყველა ხალხმა აირჩიოს სოციალისტური გზა როგორც ერთადერთი სწორი გზა.

ალბანეთის ხელმძღვანელები, მაგალითად, ე. ხოჯა, იკვეხნიან, რომ ისინი არ ეთანხმებიან იმათ, ვისაც „მშვიდობიანი თანაარსებობა მიიჩნია სოციალისტური ქვეყნების საგარეო პოლიტიკის გენერალურ ხაზად“. აბა რა შეადგენს მაშინ გენერალურ ხაზს? მაშასადამე ომი? მაგრამ თუ ეს ასეა, მაშინ კომუნიზმის თუ კაპიტალიზმის გამარჯვების საკითხის გადაჭრისადმი ასეთი მიდგომა რით განსხვავდება იმპერიალიზმის ავანტიურისტული წრეების თვალსაზრისისაგან? არსებითად, განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ გაიფთრებულმა იმპერიალისტებმა დაკარგეს რწმენა, რომ კაპიტალიზმი გაუძლებს შეჯიბრებას სოციალიზმთან, ხოლო ღოგმატიკოსებს არ სჯერათ კომუნიზმის გამარჯვების შესაძლებლობა სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი შეჯიბრების პირობებში. მაგრამ მარქსისტ - ლენინელებიდან ვინ დაეთანხმება იმას, რომ კომუნიზმის გამარჯვების გზა თერმოატომური ომის გზაა?

ჩვენს დროში იმპერიალისტებსაც კი უძნელდებათ აშკარად გაილაშქრონ მშვიდობიანი თანაარსებობის წინააღმდეგ. მით უმეტეს ეს ძნელია იმ ადამიანებისათვის, ვისაც თავი კომუნისტად მიაჩნია. ამიტომ ალბანელი დოგმატიკოსებიც დიდი გაჭირვებით ამბობენ, რომ ისინი „არ ილაშქრებენ“ მშვიდობიანი თანაარსებობის თეზისის წინააღმდეგ. მაგრამ იქვე აცხადებენ, რომ სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობა ნიშნავს „იმპერიალიზმთან დაახლოებისა და შერწყმის გეზს“, რომ საკითხს, იყოს თუ არ იყოს ომი, წყვეტენ იმპერიალისტური ქვეყნების გენერალური შტაბების უფროსები, რომ თითქოს მთელი მსოფლიოს მშვიდობის შენარჩუნების საქმეს შეიძლება ხელი შეეწყოს მხოლოდ ერთი გზით, იმპერიალიზმის დასამარებით. ეს პირდაპირი და აშკარა გადახვევაა კომპარტიათა განცხადებიდან, რომელშიც ნათქვამია: „ჯერ კიდევ დედამიწაზე სოციალიზმის სრულ გამარჯვებამდე, სანამ დარჩება კაპიტალიზმი მსოფლიოს ნაწილში, წარმოიშობა რეალური შესაძლებლობა გამოირიცხოს მსოფლიო ომი საზოგადოების ცხოვრებიდან“, რომ უკვე ახლა „დადგა დრო, როცა შეიძლება აღიკვეთოს იმპერიალისტ აგრესორთა ცდები გააჩაღონ მსოფლიო ომი“.

მშვიდობისათვის ბრძოლაში მთავარია დროზე აღლაგმოთ აგრესორები, თავიდან ავიცილოთ ომი, არ მივცეთ მას საშუალება იფეთქოს. ეს განსაკუთრებით საჭიროა თანამედროვე იარაღის უმაგალითო დამანგრეველ-

(გაგრძელება მე-2 გვერდზე)

უფრო სწრაფად შევქმნათ და დავნერგოთ ახალი ტექნიკა

პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებმა დაათვალიერეს ახალი ტექნიკის გამოფენა

ავტომატიზაციისა და მანქანათმშენებლობის სახელმწიფო კომიტეტმა მოაწყო მანქანათმშენებლობისა და ავტომატიზაციის დარგის დამთავრებულ სამეცნიერო-კვლევით და საპროექტო — საკონსტრუქტორო ნამუშევართა გამოფენა.

აქ წარმოდგენილია მრავალი ასეული ნიმუშის ახალი მანქანა, ჩარხი, სხვადასხვა მოწყობილობა, ხელსაწყო, მექანიზაციისა და ავტომატიზაციის საშუალებანი, რომლებიც სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში ინერგება.

გამოფენა არა მარტო ცხადყოფს საბჭოთა მანქანათმშენებლობისა და ხელსაწყოთმშენებლობის მიღწევებს, არამედ თავისებური სკოლაც არის მრეწველობისა და სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა მუშაკებისათვის. გამოფენა დათვალიერეს ჩვენი ქვეყნის ბევრი სახალხო მეურნეობის საბჭოს წარმომადგენლებმა.

5 იანვარს ეს გამოფენა ნახეს ფ. რ. კოზლოვმა, ა ნ. კოსიგინმა, ნ. ს. ხრუშჩოვმა და ა. პ. რუდაკოვმა.

გამოფენის ექსპონატების დათვალიერებას დაესწრნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები — სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარე ვ. ე. დომშიკი, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე პ. ფ. ლომაკი და სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა საკოორდინაციო სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე კ. ნ. რუდნევი, ავტომატიზაციისა და მანქანათმშენებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ა. ი. კოსტოსოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მანქანათმშენებლობის განყოფილების გამგე ვ. ს. ფროლოვი.

ექსპონატებს აცნობდნენ ავტომატიზაციისა და მანქანათმშენებლობის სახელმწიფო კომიტეტის სამმართველოთა უფროსები, სამეცნიერო-საკვლევ და საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციათა ხელმძღვანელები.

ღია მოედანზე კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელებმა დაათვალიერეს ახალი ნიმუშების სასოფლო-სამეურნეო და სამშენებლო-საგზაო მანქანები. ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვმა დადებითი შეფასება მისცა მანქანათმშენებელთა ნამუშევრებს, რომლებიც დიდი წარმადობის ახალ ტექნიკას ქმნიან შრომატევად სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მექანიზაციისათვის.

დიდი ინტერესი გამოიწვია სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის უზარმაზარი შენობის სამ სართულზე განლაგებული ახალი მანქანების, ჩარხების, ხელსაწყოების, მექანიზაციისა და ავტომატიზაციის საშუალებათა კონსტრუქციებმა.

მეტალურგიული მრეწველობის მოწყობილობის ნიმუშებს შორის ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვმა აღნიშნა აგრეგატები ზუსტი ხსმელების დამზადების ავტომატიზაციისა, აგრეთვე მანქანების დეტალების წარმოებისა, მოგროვისა და განივად გლინვის მეთოდებით.

პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები გაეცნენ მილების გლინვისა და შედუღების ახალი უწყვეტი მოქმედების დგანების ექსპონატებს.

— საჭიროა უფრო სწრაფად შევიმუშაოთ და დავნერგოთ უწყვეტი პროცესები მეტალურგიაში, — ხაზგასმით აღნიშნა ნ. ს. ხრუშჩოვმა, — დაწყებული ფხვიერი ლითონით და დამთავრებული მზა ნაწარმით პროცესი უწყვეტი უნდა იყოს. ეს მეტალურგიის განვითარების პერსპექტივაა.

შესადუღი მოწყობილობის და შედუღების გაადვილებისა და დაჩქარების უნივერსალურ მანიპულატორთა დათვალიერების დროს აღინიშნა, რომ დადგა დრო შეიქმნას სპეციალიზებული ქარხნები, რომლებიც გამოუშვებენ შესადუღ დეტალებსა და კვანძებს მანქანათმშენებლობის სხვადასხვა დარგისათვის. შედუღების სამუშაოთა ასეთი სპეციალიზაცია მკვეთრად გაადიდებს შრომის ნაყოფიერებას ჩვენს ქარხნებში.

დიდი წარმადობის საჭრელი ინსტრუმენტის ახალ სახეობათა დარბაზში გამოთქვა სურვილი, რომ უფრო ფართოდ გამოიყენონ ინსტრუმენტის წარმოებაში ხელოვნური ალმასი.

— ახლა ჩვენში დაიწყო ხელოვნური ალმასის გამოშვება. ჩვენს მრეწველობას შეუძლია აწარმოოს ასეთი ალმასი იმდენი, რამდენიც გვჭირდება, — ხაზი გაუსვა ნ. ს. ხრუშჩოვმა.

ლითონდამუშავებაში ტექნიკური პროგრესისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ულტრაბგერითა და მძლავრი ელექტრომაპულსების გამოყენებას. პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებმა, რომლებიც გაეცნენ ამ პრინციპების საფუძველზე შექმნილი ჩარხების მუშაობას, დაავალეს საგეგმო-სამეურნეო ორგანოებს უფრო ფართოდ და სწრაფად დანერგონ ისინი წარმოებაში.

უკანასკნელ წლებში საინტერესო სამუშაოები შეასრულა ცენტრალურმა ქვაბ-ტურბინის ინსტიტუტმა. მან შექმნა მცირე გაბარიტიანი ქვაბები და ორთქლგაზის დანადგარი, რომლებიც შესაძლებლობას იძლევიან მკვეთრად შემცირდეს თბოსადგურების შენობათა სიდიდე.

— ეს მუშაობის მეტად მნიშვნელოვანი მიმართულებაა, — ხაზი გაუსვა ნ. ს. ხრუშჩოვმა.

უყრადღებით დათვალიერეს მეცნიერთა და კონსტრუქტორთა ნამუშევრები, რომლებიც სატრანსპორტო მანქანებს ქმნიან. დასახეს რეკომენდაციები, რომ საჭიროა უფრო სწრაფად მოეწყოს თაღოვანი სალტეების, პნევმატური დენების მასობრივი წარმოება, რომლებიც საშუალებას მოგვცემენ გამოვიყენოთ ავტომობილები რთულ საგზაო პირობებში — ნამქერის დროს, ქვაშრობში, დაჭაობებულ ადგილებში, შეიქმნას უნივერსალური მანქანები სხვადასხვა საგზაო პირობებში გამოყენებისათვის.

— უნდა შევქმნათ ისეთი თვლიანი ტრაქტორები, რომლებსაც წარმატებით გამოვიყენებთ მუხლუხა ტრაქტორების ნაცვლად არა მარტო ხვნის, არამედ სათოხნი სამუშაოების დროსაც, — შენიშნა ნიკიტა სერგის-ძემ.

გამოფენის დამთვალიერებელთა ცხოველი ინტერესი გამოიწვია მანქანების კომპლექსებმა, რომლებიც ადამიანის დაუხმარებლად იღებენ ქვანახშირს, და ახალი ნიმუშების მოწყობილობამ ნავთობის გადასამუშავებლად.

ჩვენმა კონსტრუქტორებმა, თქვა ნ. ს. ხრუშჩოვმა, უყრადღება უნდა მიაქციონ თანამედროვე ნავთობგადასამუშავებელი მოწყობილობის შექმნას, საჭიროა გაუმჯობესდეს ნავთობპროდუქტების ბარისხი. უფრო სწრაფად უნდა დაინერგოს წარმოებაში მანქანების კომპლექსები ქვანახშირის ამოღების მექანიზაციისათვის, რათა მკვეთრად გადიდდეს შრომის ნაყოფიერება ქვანახშირის შახტებში.

სასარგებლო რჩევა და შენიშვნები მისცეს ქიმიური მანქანათმშენებლობის მუშაკებს. მათ ურჩიეს, რომ უფრო გაბედულად დანერგონ პლასტიკური მასები, უფრო სწრაფად აშენონ მოწყობილობა ეანგბადის წარმოებისათვის.

— იმავე ბრძმედებითა და მარტენის ღუმელებით, კონვერტორებით შეგვიძლია მივიღოთ გაცილებით მეტი ლითონი, თუ უზრუნველყოფთ მათ ეანგბადით, — თქვა ნ. ს. ხრუშჩოვმა.

დარბაზში, სადაც დადგმულია ელექტრონულ-საანგარიშო მანქანები და ელექპონატები, რომლებიც დამთვალიერებლებს აცნობენ სამრეწველო საწარმოთა წარმოებისა და მართვის ავტომატიზაციის წესებს, გამოფენის სტუმრები დაწვრილებით გაეცნენ ელექტრონული ტექნიკის ნიახლეებს. ჩვენში შექმნილია ბევრი ელექტრონულ-საანგარიშო მანქანა მეცნიერებისა და მრეწველობის საჭიროებისათვის.

— უნდა შევქმნათ ტიპური საანგარიშო მანქანა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისთვისაც, — თქვა ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა, — ახლა სოფლის მეურნეობაში ჯერ კიდევ ბევრი ადამიანი მუშაობს მოანგარიშედ. მოანგარიშეთა რიცხვი შეიძლება მნიშვნელოვნად შემცირდეს, თუ დაინერგება ასეთი მანქანები.

გამოფენის ექსპონატების დათვალიერება რომ დაამთავრეს, ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვმა დაადასტურა სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტისა და სახალხო მეურნეობის საბჭოს ხელმძღვანელებს უმოკლეს ვადაში განიხილონ და პრაქტიკულად

გაანვამაკიცოთ კომუნისტური მოძრაობის ერთიანობა მშვიდობისა და სოციალიზმის გამარჯვებისათვის

(გაგრძელება)

ლი ძალის გამო. განცხადებაში ნათქვამია: „შექმნილია მასობრივი მოსპობისა და ნგრევის საშინელი საშუალებანი. ამ საშუალებათა გამოყენებამ ახალ ომში შეიძლება გამოიწვიოს მთელი ქვეყნების უმაგალითო ნგრევა და ნანგრევებად აქციოს მსოფლიო წარმოებისა და მსოფლიო კულტურის უდიდესი ცენტრები. ასეთი ომი დაღუპვას და ტანჯვას მოუტანდა ასეულ მილიონობით ადამიანს, მათ შორის იმ ქვეყნებშიც, რომლებიც არ მონაწილეობენ ომში“.

ამ დებულებათა საწინააღმდეგოდ დოგმატიკოსები ემყარებიან იმას, რომ ატომური ომი საშიში არ არის, ხოლო თანამედროვე იარაღი საშინელია მხოლოდ „იმპერიალისტთა და რეაქციონერთა აზრით“, რომ „ატომური ბომბი ქაღალდის ვეფხვია“. ეს სხვა არა არის რა, თუ არა უარის თქმა განცხადებაში აღნიშნულ მთავარ მიზანზე მშვიდობისათვის ბრძოლაში, უარის თქმა მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკაზე.

დოგმატიკოსები მშვიდობიან თანაარსებობას სახავენ როგორც „იმპერიალიზმის მხილებისათვის ბრძოლაზე უარის თქმას“, „იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შეწყვეტას“. მათ არ ესმით, რომ შეჯიბრება მშვიდობის პირობებში კაპიტალიზმის წინააღმდეგ სოციალიზმის ბრძოლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი უბანია. რაც შეეხება დოგმატიკოსების მიერ პროკლამირებულ ბრძოლას იმპერიალიზმის წინააღმდეგ, იგი მათთან ამოიწურება მხოლოდ ხმამაღალი მამხილებელი ფრაზებით და გინებით. მაგრამ განა ამით უნდა ამოიწუროს იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლამ მარქსისტულ-ლენინური პარტიის საქმიანობა, რომელიც ხელისუფლების სათავეში დგას?

ნამდვილად იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლა, მშვიდობის დაცვა, მსოფლიო განმათავისუფლებელი მოძრაობის განვითარებისათვის ყოველი ღონისძიებით ხელის შეწყობა სოციალისტური ქვეყნებისათვის უწინარეს ყოვლისა ნიშნავს:

— წარმატებით განავითარონ სოციალისტური საზოგადოება, უწინარეს ყოვლისა გაუხრელად წასწიონ წინ მეურნეობა. რაც უფრო ეფექტურად აწარმოებენ სოციალისტური ქვეყნები სამეურნეო მშენებლობას, მით უფრო ძლიერი იქნებიან ისინი ეკონომიურად და პოლიტიკურად, მით უფრო მეტი იქნება ძათი გავლენა ისტორიული განვითარების მიმართულებასა და ტემპებზე, მით უფრო მტკიცედ და საიმედოდ დაიცავენ ისინი მშვიდობას;

— მტკიცედ და თანამიმდევრულად განახორციელონ მშვიდობისმოყვარული საგარეო პოლიტიკა, რომელიც ასუტებს იმპერიალიზმის საფუძვლებს, ხელს უწყობს მშვიდობისმოყვარე ძალების შეკავშირებას და აადვილებს მშრომელთა და ჩაგრულ ხალხთა ბრძოლას თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, განახორციელონ პოლიტიკა, რომელიც სოციალიზმის მტრებს არ აძლევს ოდნავ შესაძლებლობასაც კი სცადონ მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ძალების გათიშვა;

— გამოიჩინონ უდიდესი სიფხიზლე იმპერიალიზმის მიმართ, ყოველი ღონისძიებით განამტკიცონ ძთელი სოციალისტური ბანაკის ძლიერება და თავდაცვისუნარიანობა, ყოველი ღონე იხმარონ ხალხთა უშიშროების უზრუნველყოფისა და მშვიდობის შენარჩუნებისათვის;

— დაუცხრომლად ამხილონ იმპერიალიზმის პოლიტიკა, ფხიზლად ადევნონ თვალი ომის გამჩაღებელთა ხრიკებსა და მაქინაციებს, გამოიწვიონ ხალხთა წმიდა მრისხანება იმათ წინააღმდეგ, ვინც ომის გეზს ადგას, გააძლიერონ მთელი მშვიდობისმოყვარე ძალების ორგანიზებულობა, განუწყვეტლივ გააძლიერონ მასების აქტიური მოქმედება მშვიდობის დასაცავად, განამტკიცონ თანამშრომლობა ყველა სახელმწიფოსთან, რომელიც არ არის დაინტერესებული ახალი ომებით;

— განამტკიცონ ძმური მეგობრობისა და მჭიდრო თანამშრომლობის ურთიერთობა აზიის, აფრიკის, ლათინური ამერიკის სახელმწიფოებთან, რომლებიც იბრძვიან ეროვნული დამოუკიდებლობის მიღწევისა და განმტკიცებისათვის, გაუწიონ დახმარება და მხარდაჭერა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას;

— ყოველი ღონისძიებით შეუწყონ ხელი საერთაშორისო მუშათა კლასის ყველა რაზმისა და ორგანიზაციის საბრძოლო სოლიდარობის განმტკიცებას.

სწორედ ასეთ ქმედით ბრძოლას იმპერიალიზმის წინააღმდეგ აწარმოებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, სხვა მარქსისტულ-ლენინური პარტიები, რომლებიც მტკიცედ დგანან დეკლარაციისა და განცხადების პოზიციებზე.

სოციალიზმის ქვეყნებში იქმნება მთელი კაცობრიობის მომავლის პირველსახე. და მთელი თავიანთი საქმეებით ჩვენი ქვეყნების ხალხებმა ეს პირველსახე უნდა გახადონ სულ უფრო მიმზიდველი, რათა ყოველ მშრომელ ადამიანს, როცა გაეცნობა ყოველი სოციალისტური ქვეყნის ცხოვრებას, შეეძლოს თქვას: „აი ჩემი მშვენიერი ხვალინდელი დღე, რომლისთვისაც ღირს ბრძოლა ძალების დაუშურებლად!“.

„კომუნისტებს, — ნათქვამია განცხადებაში, — თავიანთ ისტორიულ მისიად მიაჩნიათ არა მარტო ის, რომ მოსპონ ექსპლოატაცია და სიღატაკე მსოფლიო მასშტაბით და სამუდამოდ გამორიცხონ ყოველგვარი ომის შესაძლებლობა ადამიანთა საზოგადოების ცხოვრებიდან, არამედ თანამედროვე ეპოქაშივე იხსნან კაცობრიობა ახალი მსოფლიო ომის კოშმარისაგან. ყველა ქვეყნის კომუნისტური პარტიები მთელ თავიანთ ძალასა და ენერგიას მოახმარენ ამ დიადი ისტორიული მისიის განხორციელებას“.

საბჭოთა კავშირის კომუნისტები, მთელი საბჭოთა ხალხი არ იშურებენ ძალ-ღონეს, რათა საქმით შეასრულონ ეს დიადი მისია. ისტორიულად შეაქმნა ისე, რომ ომის იმპერიალისტ გამჩაღებელთა წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სიმძიმე საბჭოთა ხალხს დაეწვა. ასეთი სიმძიმის ტარება ადვილი საქმე როდია. საბჭოთა ადამიანებს ამასთან ხშირად უხდებათ მოიკლონ აუცილებელი. მაგრამ საბჭოთა ადამიანები ამას შეგნებულად აკეთებენ, ესმით, რომ ეს საჭიროა მთელი მსოფლიოს ხალხებისათვის, ადამიანთა ახლანდელი და მომავალი თაობებისათვის, კომუნიზმის გამარჯვებისათვის.

ხალხებმა იციან, რომ საბჭოთა კავშირის აქტიურმა ბრძოლამ, მისმა ძლიერებამ გადამწყვეტი როლი შეასრულა მსოფლიო ომის თავიდან აცილებაში, რომლის დაწყებას ამ უკანასკნელ წლებში არაერთხელ ცდილობდნენ აგრესიული იმპერიალისტური წრეები, აგრეთვე დიდად შეუწყო ხელი განმათავისუფლებელ ბრძოლას იმპერიალიზმის წინააღმდეგ.

ვინ ჩააქრო 1956 წელს ომის ბობოქარი ალი სუეცის არხის რაიონში და აიძულა ინგლისელ-ფრანგი-ისრაელი აგრესორები წათრეულიყვნენ? ვინ აღკვეთა 1957 წელს იმპერიალისტების მიერ მომზადებული შეჭრა სირიაში? ვინ არ დაუშვა 1958 წელს ომის დაწყება ახლო აღმოსავლეთსა და ტაივანის სრუტის რაიონში? ეს ქნეს საბჭოთა კავშირმა, სოციალისტური ბანაკის ყველა ქვეყანამ, მშვიდობისმოყვარე ძალებმა. მათ, და უწინარეს ყოვლისა სსრ კავშირის ძლიერებამ და აქტიურმა მოქმედებამ, აიძულეს ომის იმპერიალისტი გამჩაღებლები უკან დაეხიათ. საბჭოთა სახელმწიფოს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მთელი მოღვაწეობა საერთაშორისო ასპარეზზე ბრძოლაა საქმით იმპერიალიზმის წინააღმდეგ, დაუცხრომელი ბრძოლაა სოციალიზმის პოზიციების განმტკიცებისა და გაფართოებისათვის, რეალური დახმარებაა ხალხებისადმი, რომლებიც იცავენ თავისუფლებას და იბრძვიან თავისუფლებისათვის.

ფრანგი კოლონიზატორების წინააღმდეგ ალჟირელი ხალხის განმათავისუფლებელი ბრძოლის ფართო მხარდაჭერა, ლაოსის ხალხის ეროვნული დამოუკიდებლობისა და თავისუფლების დაცვა, ინდოეთისა და ინდონეზიისადმი მხარდაჭერა მათს სამართლიან მოქმედებაში კოლონიალიზმის საყრდენების ლიკვიდაციისა და გოას, დიუს, დამანის, დასავლეთ ირიანის განთავისუფლებისათვის, ყოველი ღონისძიებით ხელის შეწყობა აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის დამოუკიდებელ სახელმწიფოთა განმტკიცებისათვის — ასეთია ძხოლოდ ზოგიერთი ფაქტი, რომლებიც მოწმობენ, თუ რა თანამიმდევრობით იბრძვის საბჭოთა კავშირი იმპერიალისტ კოლონიზატორთა წინააღმდეგ, ხალხთა ეროვნული განთავისუფლებისათვის. სულ ცოტა ხნის წინათ საბჭოთა კავშირმა ძალიან სერიოზული დახმარება გაუწია ეიმენის ხალხს, რამაც დიდი როლი შეასრულა ჩისი დამოუკიდებლობის უზრუნველყოფასა და იმპერიალიზმის ხრიკების ჩაფუშვაში. ჩვენი ქვეყანა საერთაშორისო ორგანიზაციებში ახორციელებს ისეთ აქციებს, რომლებსაც მსოფლიო მნიშვნელობა ეძლევა, ხელს უწყობს მსოფლიოს მთელი პროგრესული ძალების მობილიზაციას ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დასაცავად. საბჭოთა კავშირი იყო ინიციატორი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ისტორიული დეკლარაციისა ყველა ხალხისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ და იბრძვის მისი უსწრაფესად განხორციელებისათვის.

საბჭოთა კავშირის მიერ დაუცხრომელი ახსნა-განმარტება თერმოატომური ომის საშიშროების მთელი საფრთხისა, ღონისძიებანი, რომლებსაც სკკპ ახორციელებს ყველა მოძმე პარტიასთან, მშვიდობის ყველა დამცველთან ერთად ხალხთა სიფხიზლის ასამაღლებლად ომის გამჩაღებელთა ხრიკების წინააღმდეგ, — ყოველივე ეს დიდად უწყობს ხელს მშვიდობისათვის მებრძოლი ძალების გამრავლებას.

მაგალითად, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია განუხრელად და თანმიმდევრულად აწარმოებს შეტევას ყველა მიმართულებით იმპერიალიზმისა და ომის ძალების წინააღმდეგ. დაე იმათ, ვინც ცდილობს ჩრდილი მიაყენოს საბჭოთა კავშირის თანამიმდევრულ ბრძოლას იმპერიალიზმის წინააღმდეგ, გულზე ხელი დაიდოს და საკუთარ თავს ჰკითხოს: რატომ და რის გულისთვის სცხებენ ჩირქს მშვიდობისა და სოციალიზმის მთავარ ძალას? ვის ეხმარებიან ამით?

ომისშემდგომ წლებში არ ყოფილა უფრო მწვავე საერთაშორისო კრიზისი, რომელიც შეიცავდა მსოფლიო თერმოატომური ხანძრის საფრთხეს, ვიდრე ამასწინანდელი კრიზისი, რომელიც ამერიკის იმპერიალიზმმა შექმნა კარიბის ზღვის რაიონში. რა პოზიცია დიკავეს იმ უაღრესად პასუხსაგებ ჟამს ტრანელმა მყვირალებმა? დაუჭირეს თუ არა მათ მხარი საბჭოთა კავშირს, იმ მთავარ ძალას, რომელიც იფარავდა რევოლუციურ კუბას და გზას უღობავდა მეატომე მანიაკებს? არა, მათ ეს არ უქნიათ, უფრო მეტიც. არსებითად ისინი ეხმარებოდნენ იმპერიალისტ პროვოკატორებს გაეღვივებინათ კონფლიქტი, შეეტაკებინათ სსრ კავშირი და ამერიკის შეერთებული შტატები, რითაც ამავე დროს ომის უფსკრულისაკენ უბიძგებდნენ მთელ მსოფლიოს.

მაგრამ, კაცობრიობის საბედნიეროდ, ეს არ მომხდარა. ატომური და წყალბადის ბომბების ყოვლისგამანადგურებელი ძალა არ დასტეხია თავს ხალხებს. და მთელი მსოფლიო აღიარებს, რომ ამაში დამსახურება ეკუთვნოდა საბჭოთა კავშირს. საბჭოთა მთავრობის, მისი მეთაურის ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მტკიცე და მოქნილ პოლიტიკას, რომელმაც თავიდან აგვაცილა თერმოატომური კატასტროფა, მაღალ შეფასებას აძლევს მადლიერი კაცობრიობა როგორც სიბრძნის, გონიერების, ნამდვილი მშვიდობისმოყვარეობისა და ხალხთა ბედისათვის ზრუნვის მაგალითს.

დოგმატიკოსები არ ეთანხმებიან ამას. ახლა, როცა კრიზისის ყველაზე მწვავე სტადია გავლილია, „მემარცხენე ფრაზის“ წარმომადგენლები ცდილობენ ცილისმწამებლურად დასახონ საქმე ისე, თითქოს საბჭოთა კავშირმა კაპიტულაცია მოახდინა იმპერიალიზმის წინაშე და დათანხმდა „მეორე მიუნხენზე“. მაგრამ ყველა, ვინც ობიექტურად უყეთებს ანალიზს კრიზისის დაძლევის შედეგებს კარიბის ზღვის რაიონში, ხედავს, რომ დოგმატიკოსთა ბრალდებებში სიმართლის ნატამალიც კი არ არის, რომ სიტყვები, რომლებსაც ისინი ისვრიან, არსებითად გათვალისწინებულია ომის პროვოცირებისათვის.

კრიზისი კარიბის ზღვის რაიონში გადაიჭრა საბჭოთა კავშირის, კუბელი ხალხის მტკიცე მოქმედებით აგრესორების წინააღმდეგ, ომის მეოხებით, რომ კუბელი ხალხის სამართლიან საქმეს მხარი დაუჭირა მთელმა სოციალისტურმა თანამეგობრობამ, მშვიდობისათვის ყველა მებრძოლმა. ამავე დროს კრიზისი გადაიჭრა ურთიერთდათმობისა და გონივრული კომპრომისის საფუძველზე. სახელმწიფოთა შორის სადავო საკითხების გადაჭრა უომოდ, მშვიდობიანი გზით — სწორედ ეს არის მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკა მოქმედებაში. ის, ვინც აცხადებს, რომ მხარს უჭერს მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკას, და ამავე დროს აკრიტიკებს კუბის გარშემო კრიზისის გადაჭრის მეთოდს, საქმით უარყოფს მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკას.

კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების კრიტიკოსები ამბობენ, რომ არ შეიძლება დავუჯეროთ შეთანხმებებს იმპერიალისტებთან. მაგრამ თუ მხოლოდ ამას დავეყრდნობით, ეს ნიშნავს ვაღიაროთ, რომ სადავო საკითხები შეიძლება მოწესრიგდეს მხოლოდ ომის გზით. მარქსისტ-ლენინელებს მიაჩნიათ, რომ სოციალისტური ქვეყნების ძლიერება იმდენად გაიზარდა, რომ იმპერიალისტები იძულებული არიან ამ ძალას ანგარიში გაუწიონ და, მაშასადამე, შეიძლება ვაიძულოთ ისინი დაიცვან ნაკისრი ვალდებულებანი. ამასთან ერთად მარქსისტ-ლენინელები არასოდეს არ ივიწყებენ იმპერიალისტთა ვერაგობას და მოუწოდებენ ხალხებს მუდამ იყონ ფხიზლად, გაძლიერონ ბრძოლა ომის გამჩაღებელთა აგრესიული ხრიკების წინააღმდეგ.

როგორია კარიბის ზღვის რაიონში შექმნილი კრიზისის დაძლევის მთავარი შედეგები? სოციალისტური კუბის სუვერენიტეტი და დამოუკიდებლობა განმტკიცდა. პირველად ამერიკის შეერთებულ„ შტატების მმართველმა წრეებმა, რომლებიც აბუჩად იგდებდნენ კუბას და აგრესიას ამზადებდნენ მის წინააღმდეგ, თავიანთი პრეზიდენტის პირით გაბაცხადეს, რომ არ წამოიწყებენ თავდასხმას კუბაზე. რა თქმა უნდა, ბრძოლა ჯერ კიდევ გრძელდება, და სწორედ ამიტომ საბჭოთა კავშირი მტკიცედ უჭერს მხარს კუბის რესუბლიკის ცხოველ ხუთ მოთხოვნას და ყოველმხრივ უდიდეს დახმარებას უწევს მას. ყველასათვის ნათელია, რომ კუბის პოზიცია მნიშვნელოვნად უფრო მტკიცე გახდა, ხოლო მისი საერთაშორისო ავტორიტეტი გაიზარდა. კუბელმა ხალხმა, მისმა მებრძოლმა ხელმძღვანელებმა ამხანაგ ფიდელ კასტროს მეთაურობით დიდი მამაცობა და სიმტკიცე გამოიჩინეს. დაიცვეს თავიანთი სოციალისტური მონაპოვარნი და უდიდესი წვლილი შეიტანეს მშვიდობის შენარჩუნების საქმეში. თავისუფლების შუქურა დასავლეთ ნახევარსფეროში უფრო ძლიერ კაშკაშებს. განა ეს „მიუნხენია“? განა ეს უკანდახევაა? როგორც ჩანს, თვით ავტორებმ: ტერმინისა „მეორე მიუნხენი“ არ იციან ელემენტარული ისტორია და ამბობენ იმას, რაც თვითონ არ გაეგებათ.

თვით ცხოვრებამ, ასეულ მილიონობით ადამიანის ბრძოლის პრაქტიკამ დაადასტურა, რომ მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკა შეესაბამება ყველა ქვეყნის ხალხთა საარსებო ინტერესებს. დამტკიცებულია, რომ მშვიდობიანი თანაარსებობის პირობებში იქმნება ხელსაყრელი შესაძლებლობანი კლასობრივი ბრძოლის გაშლისათვის კაპიტალისტურ ქვეყნებში, ეროვნული განმათავისუფლებელი მოძრაობის, დემოკრატიულ მოძრაობათა, სოციალისტური რევოლუციების გაშლისათვის. ხომ ფაქტია, რომ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ყველაზე დიდი აღმავლობა, ყველაზე დიდი საგაფიცვო ბრძოლები კაპიტალისტურ ქვეყნებში მოხდა ომისშემდგომ წლებში, ესე იგი მშვიდობიანი თანაარსებობის პირობებში. ისიც ხომ ფაქტია, რომ ამ წლებში ყველაზე მეტად გაიზარდა კომუნისტური პარტიების რიცხვი და მათი გავლენა. თავის მხრივ რევოლუციური კლასობრივი და ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის წარმატებანი ხელს უწყობენ მშვიდობიანი თანაარსებობის განმტკიცებას. და ეს გასაგებია, რადგან აქტიური ბრძოლა მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და ეროვნული განთავისუფლებისათვის ასუსტებს და ავიწროებს იმპერიალიზმის პოზიციებს.

როცა მარქსისტ-ლენინელები ლაპარაკობენ მსოფლიო ომის თავიდან აცილების შესაძლებლობაზე, ისინი ერთი წუთითაც არ ივიწყებენ, რომ იმპერიალიზმის არსი, მისი აგრესიული ხასიათი არ შეცვლილა. ჩვენი პარტია ამას ითვალისწინებს მთელ თავის პოლიტიკაში. ამასთან ერთად, იგი ითვალისწინებს ცვლილებებს მსოფლიო ასპარეზზე, რასაც მოჰყვა ის, რომ იმპერიალიზმს აღარ შეუძლია ყველას უკარნახოს თავისი ნება და დაუბრკოლებლად განახორციელოს თავისი აგრესიული პოლიტიკა. მსოფლიოში ძალთა თანაფარდობა ახლა ისეთია, რომ სოციალიზმისა და მშვიდობის ბანაკს შეუძლია ალაგმოს იმპერიალიზმის აგრესიული ძალები.

რა თქმა უნდა, არ შეიძლება იმის გარანტირება, რომ იმპერიალიზმის ბანაკში არ გამოინახებიან „ცოფიანები“, რომლებიც თავაწყვეტით გადაეშვებიან სამხედრო ავანტიურაში. ამიტომ განუწყვეტლივ საჭიროა მაღალი სიფხიზლე, მტკიცე ეკონომიკა, კარგი შეიარაღება, რათა მზად ვიყოთ ყოველ მომენტში გამანადგურებელი პასუხი გავცეთ აგრესორს. სტრატეგიის მხრივ იმპერიალიზმის მარტო შეზიზღებით მის მტაცებლურ ბუნებას ვერ დააცხრობ და აგრესიას, თუ ის დაიწყო, ვერ შეაჩერებ. თანამედროვე ომს არ შეიძლება მივუდგეთ ძველი საზომით. მსოფლიო ომი, თუ ვერ მოხერხდა მისი თავიდან აცილება, ერთბაშად გადაიქცევა თერმოატომურ ომად, გამოიწვევს მრავალი და მრავალი მილიონი ადამიანის დაღუპვას, კოლოსალურ მატერიალურ ფასეულობათა ნგრევას, მთელი ქვეყნების გაჩანაგებას. დიდ შეცდომას სჩადიან ისინი, ვინც არ უფიქრდება თანამედროვე ომის შედეგებს, ჯეროვნად არ აფასებს და ანგარიშს არ უწევს ატომურ იარაღს, როგორც რაღაც მეორეხარისხოვან იარაღს ადამიანთა მასის მიმართ. განა შეიძლება დაეჭვდეთ იმაში, რომ თუ სოციალისტურ ბანაკს არ ექნა მძლავრი იარაღი და, უწინარეს ყოვლისა, რაკეტულ-ატომური იარაღი, მისი პოზიციები თანამედროვე მსოფლიოში სულ სხვანაირი იქნებოდა. რას უნდა დაყრდნობოდა ასეთ შემთხვევაში სოციალიზმის უშიშროება? რაიმე მაგიური შელოცვას? განა ცხადი არ არის, რომ ისინიც კი, ვინც ასე გაბოროტებით ლანძღავს ახლა საბჭოთა კავშირს, მის დაუხმარებლად, მისი ძლიერების გამოუყენებლად ვერ გაუმკლავდებოდა თავით ფეხთამდე შეიარაღებულ იმპერიალიზმს.

ზოგიერთი ადამიანი, რომელიც ცინიკურად ეკიდება ადამიანთა სიცოცხლეს, ნებას აძლევს თავის თავს აბუჩად აიგდოს ისინი, ვინც იცავს ასეულ მილიონობით ადამიანის სიცოცხლეს, ბრალად სდებს ამ მებრძოლებს „სიმხდალესა“ და „უნიათობას“. მაგრამ კომუნისტები, და მით უმეტეს სახელმწიფო, პოლიტიკური მოღვაწე კომუნისტები ვერ დაემსგავსებიან ასეთ უპასუხისმგებლო მჯღაბნელებს. ხელისუფლების სათავეში რომ არიან, ისინი ხომ პასუხს აგებენ ხალხთა და სახელმწიფოთა ბედისათვის, უფრო მეტიც, მსოფლიო სოციალისტური სისტემის ბედისათვის. ისინი მოვალენი არიან გონივრულად, უდიდესი პასუხისმგებლობით მიუდგნენ თანამედროვე თერმოატომური ომის გარდაუვალი შედეგების შეფასებას და არ იმეორებდნენ წარსული საუკუნეების გაცვეთილ აზრებს და არ ისროდნენ მყვირალა ფრაზებს.

ვ. ი. ლენინი მკაცრად ამათრახებდა და ულმობლად დასცინოდა „მემარცხენე“ ფრაზიორებს, როგორც ისეთ ადამიანებს, რომლებიც ვერ ითვალისწინებენ ობიექტურ გარემოებებს მოცემული მოვლენების დროს, მოცემული მდგომარეობის დროს. იგი წერდა: „უნდა ვებრძოლოთ რევოლუციურ ფრაზას, იძულებული ვართ ვებრძოლოთ, აუცილებლად უნდა ვებრძოლოთ, რომ ჩვენზე ოდესმე არა თქვან მწარე სიმართლე: „რევოლუციურმა ფრაზამ რევოლუციური ომის შესახებ დაღუპა რევოლუციაო“ (თხზ., ტ. 27, გვ. 14).

საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობა იცნობს იმპერიალიზმის ლენინურ განსაზღვრას და ხელმძღვანელობს ამ განსაზღვრით ათეული წლების მანძილზე. იმპერიალიზმის ლენინური განსაზღვრა ღრმა და ყოველმხრივია, იგი არ შეიცავს იმპერიალიზმის ძალებისა არც გადაჭარბებით შეფასებას, არც შეუფასებლობას. ამ განსაზღვრამ, ისევე როგორც მარქსის მიერ მოცემულმა კაპიტალიზმის ანალიზმა, დიდი ხანია ჩაუნერგა შეგნებულ მშრომელთა რიგებს რწმენა კაპიტალიზმისა და იმპერიალიზმის ძალებზე მათი გარდაუვალი გამარჯვების შესახებ. რატომღა დასჭირდათ დაუპირისპირონ მარქსისა და ლენინის ამ განსაზღვრას სხვა, შინგამოჩეკილი დებულება „ქაღალდის ვეფხვის“ შესახებ, რომელიც იმპერიალიზმის ძალების შეუფასებლობაა?

იმისათვის, რომ კომუნისტურ მოძრაობას თავს მოახვიონ თანამედროვე იმპერიალიზმის თავიანთი განსაზღვრა და უგულებელყონ მისი ატომური კბილები, ცდილობენ წარმოადგინონ, რომ დებულება „ქაღალდის ვეფხვის“ შესახებ იმავე მნიშვნელობისაა, რაც ლენინური განსაზღვრა იმპერიალიზმისა როგორც „თიხისფეხებიანი გოლიათისა“. ამავე დროს ცნობილია, რომ ფიგურალური გამოთქმა არ ამოწურავს და არ ცვლის ვ. ი. ლენინის მიერ იმპერიალიზმის ყოველმხრივი განსაზღვრის მთელ არსს. ამასთანავე ამ გამოთქმაში ხაზგასმულია, რომ იმპერიალიზმი ჯერ კიდევ ძლიერია („გოლიათი“), მაგრამ იგი დგას (თიხისფეხებიანი“) მერყევ საფუძველზე და მას ღრღნიან შინაგანი წინააღმდეგობანი. იმპერიალიზმის განსაზღვრა როგორც „ქაღალდის ვეფხვისა“ მოწმობს მხოლოდ მის სისუსტეს. მთავარი კი ის არის, რომ საჭიროა არა ქაღალდის დეფინიციები, რომლებსაც დაჟინებით გვახვევენ თავს, არამედ თანამედროვე იმპერიალიზმის ნამდვილი ანალიზი: მის მანკიერებათა, სისუსტეთა, კანონზომიერებათა გამოვლინება, რომლებიც იწვევენ იმპერიალიზმის დაღუპვას, და ამავე დროს საჭიროა მისი ძალების, მათ შორის

უდიდესი ატომური და სხვა სამხედრო პოტენციალის საღი გათვალისწინება.

გამოთქმა „ქაღალდის ვეფხვი“ არსებითად იწვევს მასების დემობილიზაციას, რადგან შთააგონებს მათ იმ აზრს, თითქოს იმპერიალიზმის ძალა მითია და არ უნდა მიიღონ იგი მხედველობაში. ასეთი ფრაზები ავრცელებენ ხალხებში მხოლოდ გულარხეინობის განწყობილებას, იწვევენ სიფხიზლის დაკარგვას. ამ ფრაზების გამავრცელებლები ამბობენ აგრეთვე, რომ სტრატეგიული თვალსაზრისით გვეზიზღებოდეს მტერი, ხოლო ტაქტიკური თვალსაზრისით მთელი სერიოზულობით მოვეკიდოთ მას. მაგრამ ასეთი „ორმაგი, ბუხჰალტერია“ ეწინააღმდეგება მარქსიზმ-ლენინიზმს. სტრატეგია და ტაქტიკა მარქსისტული გაგებით გაერთიანებულია ღრმა ერთობით. ტაქტიკა მოწოდებულია მოხმარდეს სტრატეგიული მიზნის მიღწევას; სტრატეგია კი არ ეწინააღმდეგება ტაქტიკას, არამედ ხმარდება უფრო მნიშვნელოვანი ისტორიული მიზნების მიღწევას. მარქსიზმ-ლენინიზმი გვასწავლის მივუდგეთ მტერს როგორც მისი ისტორიული პერსპექტივების, ისე მისი დღევანდელი რეალური ძალების საღი გათვალისწინებით და ამ საფუძველზე შევიმუშაოთ სტრატეგია და ტაქტიკა. საერთაშორისო კომუნისტურმა მოძრაობამ კარგად იცის, რომ იმპერიალიზმი დაქვეითებას განიცდის, რომ ისტორიულად მან მოჭამა დრო, მაგრამ მან ისიც იცის, რომ მას აქვს ატომური კბილები, რომლებიც შეიძლება აამოქმედოს. ატომური ომი გამოიწვევდა ასეულ მილიონობით ადამიანის მოსპობას, საწარმოო ძალების გიგანტურ ნგრევას. ეს უაღრესად გააძნელებდა ახალი საზოგადოების მშენებლობას ატომური მსოფლიო ომის შემდეგ დარჩენილ ნანგრევებზე. კომუნისტებმა ამას დუმილით კი არ უნდა აუაროონ გვერდი, არამედ პირდაპირ და აშკარად უნდა უთხრან მასებს, რომ არსებობს საფრთხე. ეს ხელს უწყობს იმას, რომ ხალხებმა დაიწყონ ბრძოლა დედამიწაზე მტკიცე მშვიდობისათვის, იმპერიალიზმის წინააღმდეგ.

კომუნისტურ მოძრაობას მიაჩნია, რომ თუ იმპერიალისტები დაიწყებენ ომს, ეს მოასწავებს კაპიტალიზმის ძირმომპალი წყობილების საბოლოო დაღუპვას. მაგრამ სოციალისტურ რევოლუციას არ სჭირდება, რომ მას ატომური და წყალბადის ბომბებით უკაფავდნენ გზას.

შეიძლება თუ არა თავიდან აციცლოთ მსოფლიო ომი, შეიძლება თუ არა განვამტკიცოთ მშვიდობა, შეიძლება თუ არა განვახორციელოთ საყოველთაო და სრული განიარაღების პროგრამა და განვახორციელოთ ხალხთა მასების იდეალები სამართლიანი საზოგადოების შექმნის შესახებ, „უიარაღო, უარმიო, უომო მსოფლიოს შესახებ?“ ეს პრინციპული მნიშვნელობის საკითხებია. ის, ვინც ამბობს, მშვიდობის დაცვის ლოზუნგების წამოყენება „ილუზიების“ გავრცელებას ნიშნავსო, გამოდის საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის პოზიციის წინააღმდეგ, ადუნებს მასებს, თითქოს ეუბნება მათ, რომ ბრძოლა მსოფლიო ომის თავიდან აცილებისათვის განწირულია, დამარცხდება, და ამით ფაქტიურად ეხმარება ომის ძალებს. კომუნისტების ნამდვილი რევოლუციური ოპტიმიზმი იმით გამოიხატება, რომ მათ სჯერათ, რომ შეიძლება მსოფლიო ომის აღკვეთა, აგრესიული ძალების ალაგმვა, და მოუწოდებენ ფართო მასებს აქტიურად იმოქმედონ ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ, მათ მიაჩნიათ, რომ ყველა რევოლუციური პროცესი ვითარდება და უფრო ფართოდ განვითარდება მშვიდობიანი თანაარსებობის პირობებში და რომ სოციალიზმს შეუძლია გაიმარჯვოს მთელ მსოფლიოში ისე, რომ არ ატყდეს გამანადგურებელი ატომური ომი. სწორედ ეს არის რევოლუციონერ მებრძოლთა ოპტიმიზმი, სხვა თვალსაზრისი არის მხოლოდ სასიკვდილოდ განწირულთა ფილოსოფია. მშვიდობისათვის, გამანადგურებელი თერმოატომური ომის აღკვეთისათვის ბრძოლა შეესაბამება მუშათა კლასის, გლეხობის, ყველა მშრომელის, კაცობრიობის აბსოლუტური უმრავლესობის საარსებო ინტერესებს. კომუნისტებს თავიანთ ამოცანად მიაჩნიათ, მარქსის სიტყვებით რომ ვთქვათ, — „იბრძოლონ იმისათვის, რომ ზნეობისა და სამართლიანობის უბრალო კანონები, რომლებითაც უნდა იხელმძღვანელონ თავიანთ ურთიერთობაში კერძო პირებმა, გახდეს უმაღლესი კანონები ხალხთა შორის ურთიერთობაშიც“. (თხზ., ტომი 16, გვ. 11, რუსული გამოცემა).

მშვიდობის დროშა საშუალებას აძლევს კომუნისტებს შემოიკრიბონ თავიანთ გარშემო ხალხთა უფართოესი მასები, შექმნან ისეთი მასობრივი პოლიტიკური არმია, რომლის შესახებ არასოდეს არ შეეძლოთ თუნდაც ეოცნებათ ბურჟუაზიასა და მის პარტიებს. კომუნისტები მოწოდებული არიან, ანა ... ...

განვამტკიცოთ კომუნისტური მოძრაობის ერთიანობა მშვიდობისა და სოციალიზმის გამარჯვებისათვის

(გაგრძელება)

საშუალებებს, რათა შეინარჩუნოს თავისი ბატონობა. ასეთ პირობებში უფრო აქტუალურად ვიდრე ოდესმე, ყოერს ლენინის სიტყვები: მუშათა კლასი უნდა „დაეუფლოს საზოგადოებრივი მოღვაწეობის **ყველა**, უკლებლივ ყველა ფორმასა თუ მხარეს...“ მზად უნდა იყოს, „რათა ერთი ფორმა რაც შეიძლება სწრაფად და მოულოდნელად შეცვალოს მეორე ფორმით“. ის, ვინც ალბანელი დოგმატიკოსების მსგავსად აცხადებს, რომ საბჭოთა კავშირია კომუნისტურ პარტიას თითქოს „აბსოლუტური გზად მიაჩნია მუშათა კლასის მიერ ხელისუფლების აღების მშვიდობიანი გზა“, „მარტო ამ გზის გეზს სახავს“, მხოლოდ და მხოლოდ ფაქტების წინააღმდეგ ჯიუტად ავრცელებს სიცრუეს. დოგმატიკოსები, რომლებიც ფაქტიურად უარყოფენ იმას, რომ მუშათა კლასს შეუძლია მოიპოვოს ძალაუფლება მშვიდობიანი გზით, ვერ ხედავენ ცოცხალ ცხოვრებას, ვერ ხედავენ მუშათა მოძრაობის მზარდ ძალებსა და ორგანიზებულობას, სოციალიზმისაკენ ხალხთა მასების გაძლიერებულ ლტოლვას, უარყოფენ სოციალისტური სისტემის მზარდ გავლენას მსოფლიო რევოლუციურ პროცესზე. მაგრამ ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი არათუ არ უწყობენ ხელს მსოფლიო რევოლუციის წინსვლის საქმეს, არამედ ფაქტიურად აფერხებენ მას.

ილაშქრებენ რა სინამდვილეში სოციალიზმზე გადასვლის სხვადასხვა ფორმის წინააღმდეგ, დოგმატიკოსები ჩვეულებრივ იყენებენ ასეთ არგუმენტს, „ისტორიას ჩვენს დრომდე არ ახსოვს კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე მშვიდობიანი გადასვლის შემთხვევები“. მაგრამ მარქსი და ენგელსი ასეთ „არგუმენტაციას“ რომ დაყრდნობოდნენ, ვერ გამოიტანდნენ დასკვნას სოციალიზმის გარდუვალი გამარჯვების შესახებ, პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ, რადგან მაშინ ეს დიქტატურა არსად არ ყოფილა მსოფლიოში. მარქსისტულ-ლენინური თეორიის ძალა ის არის, რომ საშუალებას გვაძლევს ღრმა ანალიზი გაუკეთოთ ეპოქის მთავარ ნიშნებს, გამოვიტანოთ ამ ანალიზიდან დასკვნები, რომლებიც გზას უნათებენ რევოლუციურ ძალებს ათწლეულების მანძილზე. დოგმატიკოსები ცდილობენ დაუსახონ მოძმე პარტიებს ყველა შემთხვევაში, ყოველ პირობებში ხელისუფლებისათვის ბრძოლის მხოლოდ შეიარაღებული გზა. ასეთი შეხედულებანი ეწინააღმდეგებიან ლენინიზმს. ვ. ი. ლენინი, როცა „მეგარცხენე კომუნისტებს“ აკრიტიკებდა, წერდა სტატიაში „უცნაური და შემზარავი“: „შეიძლება, ავტორები ფიქრობენ, რომ საერთაშორისო რევოლუციის ინტერესები მოითხოვს მის **წაბიძგებას**, ასეთი წაბიძგება კი იქნებოდა მხოლოდ ომი და სრულიადაც არა ზავი, რომელსაც შეუძლია მასებზე მოახდინოს იმპერიალიზმის „დაკანონების“ მაგვარი შთაბეჭდილება? ასეთი „თეორია“ სრულიად წინააღმდეგი იქნებოდა მარქსიზმისა, რომელიც ყოველთვის უარყოფდა რევოლუციების „წაბიძგებას“, რევოლუციებისა, რომელნიც ვითარდებიან მათ წარმომშობ კლასობრივ წინააღმდეგობათა სიმწვავის მომწიფებისა და კვალად. ამგვარი თეორია შეედრებოდა იმ შეხედულებას, თითქოს შეიარაღებული აჯანყება ბრძოლის ისეთი ფორმაა, რომელიც სავალდებულოა ყოველთვის და ყოველ პირობებში“ (თხზ., ტომი 27, გვ. 66).

ცხადია, რევოლუციურ თეორიას შეუძლია მხოლოდ ორიენტაციის მიცემა, მაგრამ იმის განსაზღვრა, თუ ბრძოლის რა ფორმები და მეთოდები უნდა აირჩიოს ამა თუ იმ ქვეყნის პროლეტარიატმა, კონკრეტულ ისტორიულ ვითარებაში, ეს თვითეული ქვეყნის თვით პროლეტარიატის, უწინარეს ყოვლისა კი მისი კომუნისტური ავანგარდის საქმეა. იმაზე ფიქრი, რომ შეიძლება ყველა დროისათვის და ყველა ქვეყნისათვის გამოვიგონოთ სოციალისტური რევოლუციის რეცეპტი და თავს მოვახვიოთ იგი თვითეული ქვეყნის კონკრეტულ პირობებში მოქმედ მოძმე პარტიებს, იმას ნიშნავს, რომ ვეწეოდეთ მავნე საქმიანობას, ვიჩენდეთ კომუნისტებისათვის უცხო ქედმაღლობას, ვაყენებდეთ ჩვენს თავს ყველა კომუნისტური პარტიის მასწავლებელთა პოზაში, თანაც ისეთი მასწავლებლებისა, რომლებიც მოწყვეტილი არიან რეალურ ცხოვრებას და ამიტომ არ შეუძლიათ რაიმეს რჩევა, გარდა დოგმატიკური სქემებისა.

საბჭოთა კავშირი ყოველი ღონისძიებით უწყობს ხელს ეროვნულ-განმათავისუფლებელი რევოლუციების განვითარებას, სამარცხვინო კოლონიური სისტემის უსწრაფეს ლიკვიდაციას. იგი მუდამ უწვდიდა და უწვდის დახმარებას ხელს იმპერიალიზმისა და კოლონიალიზმის წინააღმდეგ აღმდგარ ყველა ხალხს. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამაში ნათქვამია: პარტიასა და მთელ საბჭოთა ხალხს „თავიანთ მოვალეობად მიაჩნიათ მხარი დაუჭირონ ჩაგრულ ხალხთა წმიდათა წმიდა ბრძოლას, მათს სამართლიან განმათავისუფლებელ ომებს იმპერიალიზმის წინააღმდეგ“. ამასთან ეს სიტყვიერი კი არა, რეალური მხარდაჭერაა. სსრ კავშირი მნიშვნელოვან პოლიტიკურ, დიპლომატიურ და ეკონომიურ დახმარებას, მათ შორის იარაღითაც, უწევს იმ სახელმწიფოებს, რომლებიც მიმართავენ მას და სთხოვენ დაუჭიროს მხარი იმპერიალისტთა და კოლონიზატორთა წინააღმდეგ ბრძოლაში, თავიანთი დამოუკიდებლობის განმტკიცებისათვის ბრძოლაში.

ახალგაზრდა ეროვნული სახელმწიფოები, როგორც წესი, იბრძვიან მშვიდობისათვის, შეადგენენ მშვიდობის ზონის დიდმნიშვნელოვან რგოლს. ძალიან საჭიროა გავაფართოოთ მშვიდობის ეს ზონა, განვამტკიცოთ სოციალისტურ და ახალგაზრდა ეროვნულ სახელმწიფოთა საბრძოლო კავშირი, მოთმინებით, მოლაპარაკების გზით გადაჭრათ წარმოქმნილი დავა და არ დაუშვათ არავითარი მოქმედება, რომელიც ძირს უთხრის პროგრესული ძალების პოზიციებს ამ სახელმწიფოებში, ასუსტებს განთავისუფლებულ სახელმწიფოთა მეგობრობას სოციალიზმის ქვეყნებთან. ძალიან საზიანო იქნებოდა რევოლუციური პროცესები ამ უაღრესად მრავალფეროვან სამყაროში განგვესაზღვრა ერთიანი ძველი სქემით, როგორც ამას ცდილობენ დოგმატიკოსები.

რა დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ ყველა ამ საკითხის განხილვიდან? ეს დასკვნა ცხადია: მარქსისტულ-ლენინური სტრატეგია და ტაქტიკა, რომელიც კოლექტიურად შემუშავეს მოძმე პარტიებმა 1957 და 1960 წლების თათბირებზე, ერთადერთი სწორი სტრატეგია და ტაქტიკაა. ამ სტრატეგიისა და ტაქტიკის თანამიმდევრული განხორციელება კომუნისტებს მთელ რევოლუციურ ძალებს აძლევს იმის გარანტიას, რომ მოიპოვონ გადამწყვეტი გამარჯვებანი მშვიდობისათვის, დემოკრატიისათვის, ეროვნული განთავისუფლებისათვის, სოციალიზმისათვის ბრძოლის ფრონტზე. ამავე დროს ეს იმას ნიშნავს, რომ ბრძოლა ყოველგვარი ცდის წინააღმდეგ — დაიჩლუნგონ, შეაუსუტონ მსოფლიოს კომუნისტთა საბრძოლო იარაღი — ახლა ჩვენი რევოლუციური საქმის შემდგომ წარმატებათა უმნიშვნელოვანესი პირობა ხდება.

ბრძოლა მარქსიზმ-ლენინიზმის სიწმინდისათვის, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის რიგების შეკავშირებისათვის თვითეული კომუნისტური პარტიის ინტერნაციონალური მოვალეობაა. კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა განცხადებაში აღნიშნულია, რომ მთავარი საფრთხე მსოფლიო კომუნისტურ მოძრაობაში არის რევიზიონიზმი. ამავე დროს განცხადებაში ხაზგასმულია: „დოგმატიზმი და სექტანტობა თეორიასა და პრაქტიკაში, თუ მათ წინააღმდეგ არ ვაწარმოეთ თანმიმდევრული ბრძოლა, ასევე შეიძლება გახდეს მთავარი საფრთხე ცალკეული პარტიების განვითარების ამა თუ იმ ეტაპზე“. ეს სწორი და წინდახედული დასკვნაა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია თანმიმდევრულად იბრძოდა და იბრძვის როგორც რევიზიონიზმის წინააღმდეგ, ისე დოგმატიზმისა და სექტანტობის წინააღმდეგ. ზოგიერთი კი ცალმხრივად ამახვილებს ყურადღებას მხოლოდ რევიზიონიზმის წინააღმდეგ ბრძოლაზე, ამასთან ზოგჯერ „რევიზიონიზმად“ ასაღებენ შემოქმედებით მარქსიზმ-ლენინიზმს, რითაც აშკარა არევდარევა შეაქვთ კომუნისტურ მოძრაობაში. მარქსისტ-ლენინელები მოვალენი არიან ანალიზი გაუკეთონ კონკრეტულ სიტუაციას და ხედავდნენ, თუ ვინ აფერხებს თვითეულ კონკრეტულ მომენტში საერთო რევოლუციური საქმის წინსვლას. თუ საქმეს ასეთი ერთადერთი სწორი პოზიციიდან მივუდგებით, არ შეიძლება არ ვაღიაროთ, რომ დოგმატიკური მიდგომა კომუნისტური მოძრაობის უმნიშვნელოვანესი პრობლემების გადაჭრისადმი ყველაზე სერიოზულ შეცდომათა წყაროა.

მემარცხენესექტანტური სენი ნაციონალიზმით იკვებება და თავის მხრივ ნაციონალიზმს კვებავს. იგი, როგორც გამოცდილება გვიჩვენებს, განსაკუთრებით შეუწყნარებელი ხდება მაშინ, როცა ვლინდება ხელისუფლების სათავეში მდგომი პარტიის საქმიანობაში. იგი განსაკუთრებით საშიში ხდება იმიტომაც, რომ მიმართულია კომუნისტური მოძრაობის ხაზის წინააღმდეგ ისეთ საარსებოდ დიდმნიშვნელოვან საკითხებში, როგორიც არის ომისა და მშვიდობის საკითხები, რომლებიც მთელი კაცობრიობის ბედს შეეხება. ამიტომ მემარცხენე ოპორტუნიზმი, დოგმატიზმი და სექტანტობა სულ უფრო სერიოზულ საფრთხედ იქცევა მსოფლიო კომუნისტურ მოძრაობაში. მოძმე პარტიებმა შეიძინეს რევიზიონიზმის წინააღმდეგ ბრძოლის დიდი გამოცდილება, რევიზიონიზმისა, რომლის გამოცნობა, სხვათა შორის, უფრო ადვილია. მემარცხენე ოპორტუნიზმის მხილება კი უფრო ძნელია, რადგანაც იგი თავის კაპიტულანტურ არსს ფარავს „ულტრარევოლუციური“ ფრაზეოლოგიით, იყენებს რა მასების გრძნობებს. ამ პირობებში კომუნისტებისათვის სწორი ხაზი შეიძლება მხოლოდ ერთი იყოს: გადამწყვეტი ბრძოლა როგორც მემარჯვენე, ისევე მემარცხენე ოპორტუნიზმის წინააღმდეგ, როგორც რევიზიონიზმის წინააღმდეგ, ისევე დოგმატიზმისა და სექტანტობის წინააღმდეგ, შეურიგებელი ბრძოლა მარქსიზმ-ლენინიზმის ყოველგვარი დამახინჯების წინააღმდეგ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, ისევე როგორც სხვა მარქსისტულ-ლენინურ პარტიებს, თავის ინტერნაციონალურ მოვალეობად მიაჩნია მტკიცედ დაიცვას მოსკოვის თათბირების დოკუმენტთა დებულებანი და თავისი ურთიერთობა ააგოს ამ დოკუმენტებში ჩამოყალიბებული პრინციპების შესაბამისად. ამიტომ არ შეიძლება კომუნისტების სერიოზული წუხილი არ გამოიწვიოს უკანასკნელ დროს ამოქმედებულმა იმ თეზისმა, რომ საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობაში არის „დროებითი უმრავლესობა“, რომელიც „ჯიუტად იცავს თავის შეცდომებს“, და „დროებითი უმცირესობა“, რომელიც „გაბედულად და მტკიცედ იცავს ჭეშმარიტებას“. ამ თეზისის დაჟინებით დაცვა არსებითად იმის მომასწავებელი იქნებოდა, რომ საქმე მიგვეყვანა საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის დაქსაქსულობამდე, იმ იდეური და ორგანიზაციული პრინციპების ძირის გამოთხრამდე, რომელთაც იგი ემყარება და რომელთა საფუძველზეც მოპოვებულია სოციალიზმის მსოფლიო-ისტორიული გამარჯვებანი. ასეთი თეზისი „ემსახურება მხოლოდ კომუნისტური მოძრაობის გათიშვის, მარქსისტულ-ლენინური პარტიების საერთო პოზიციებზე უარის თქმის დასაბუთებას.

განსაკუთრებით საზიანოა ეს მტკიცება იმის გამო, რომ იგი დაკავშირებულია წარმოუდგენელ პრეტენზიასთან — გამოაცხადონ ერთი პარტია ლენინის ჭეშმარიტ მემკვიდრედ, ყველა სხვა პარტია კი — მარქსიზმ-ლენინიზმისაგან ვანდგომილად. განცხადება მთელ მსოფლიოში, რომ ამჟამად საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობაში შეიქმნა იმის ანალოგიური მდგომარეობა, რომელიც იყო II ინტერნაციონალის პერიოდში, მისი გათიშვის წინ, და იმის მსგავსი მდგომარეობა, რომელიც იყო გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის რიგებში 1914 წლის დეკემბერში, როცა ამ პარტიის ხელმძღვანელობა შოვინიზმის პოზიციებზე იდგა, — არსებითად ნიშნავს, რომ გამოუცხადოთ მთელ საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობას, რომ იგი ჩაფლო ოპორტუნიზმის, სოციალ-დემოკრატიული რევიზიონიზმის ჭაობში, და დავიჩემოთ ერთადერთი პარტიის როლი, რომელიც თითქოს სწორ მარქსისტულ-ლენინურ პოზიციებზე დგას. ვის აქვს უფლება დააყენოს თავისი თავი დიდი ლენინის ადგილას, რომელმაც დაიცვა რევოლუციური მარქსიზმის პრინციპები და მაღლა აღმართა ოპორტუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლის დროშა?

უეჭველია, რომ კომუნისტური პარტიები უარყოფენ ამ უზომო პრეტენზიას ეაყენონ თვიანთი თავი ვ. ი. ლენინის ადგილას, გამოაცხადონ, რომ „სიმართლისა“ და „ჭეშმარიტების“ დამცველი მხოლოდ ჩვენ ვართო. ასეთი პრეტენზია არა მარტო სრულიად მცდარია, არამედ აბსოლუტურად არაკანონზომიერიც არის, ვისთვის არ არის ცხადი, რომ როცა ცდილობენ ახალგაზა გაატარონ ლენინის ბრძოლასთან II ინტერნაციონალის ოპორტუნიზმის წინააღმდეგ და ამით გაამართლონ ყოველგვარი გამთიშველი მოქმედება კომუნისტებს შორის, სრულებით არ შეესაბამება ისტორიულ სინამდვილეს და ნამდვილ ვითარებას საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობაში, რომელიც განუხრელად მიდის წინ რევოლუციური, ლენინური გზით. იგი მოწმობს აგრეთვე წარმოუდგენელ ქედმაღლობას, იმას, რომ სრულებით არა აქვთ არავითარი პატივისცემის გრძნობა და სურვილი ყურადღონ ერთსულოვანი აზრი და მოწოდება მეტი წილი მოძმე პარტიებისა, რომლებსაც უდიდესი დამსახურება მიუძღვით საერთაშორისო პროლეტარიატის წინაშე და აქვთ დიდი რევოლუციური გამოცდილება.

ვ. ი. ლენინი დიდი პატივისცემით ეკიდებოდა მოძმე პარტიების შემოქმედებითს საქმიანობას, ღრმად ესმოდა კაპიტალის უღლის წინააღმდეგ მათი ბრძოლის სიძნელეები და მკაცრი პირობები. ხოლო როცა ჰჭირდებოდა წარმოდგენა ჰქონოდა აბა თუ იმ ქვეყნის მდგომარეობაზე. იგი უწინარეს ყოვლისა გულდასმით სწავლობდა და ფრთხილად ეკიდებოდა ამ ქვეყნის კომპარტიის აზრსა და დასკვნებს.. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, საბჭოთა კომუნისტები მტკიცედ ახორციელებენ ამ ლენინურ მეთოდს. სრულებითაც არ იქცევიან ლენინურად ისინი, ვინც აკრიტიკებს კომუნისტურ პარტიებს, ათეული წლების განმავლობაში მამაცურად რომ იბრძვიან იმპერიალიზმის წინააღმდეგ, მათს ხელმძღვანელ კადრებს, რომლებმაც დამსახურებულად მოიპოვეს მსოფლიოს ყველა რევოლუციონერის დიდი პატივისცემა. მაგალითად, განა ლენინურად მოქმედებდნენ ამას წინათ ის უცხოელი სტუმრები უდიდესი მოძმე პარტიის ყრილობაზე, როცა ისარგებლეს ყრილობის ტრიბუნით, რათა ბრალად დაედოთ ამ პარტიისათვის ოპორტუნიზმი და თავისი ქვეყნის ხალხის ინტერესების ღალატი?

ალბანელ „თეორეტიკოსთა აზრით“, ამჟამად მსოფლიო კომუნისტურ მოძრაობაში დარჩნენ მხოლოდ „რევიზიონისტთა ხროვები“. ისინი ამაოდ მოუწოდებენ ხან ერთი, ხან მეორე კომპარტიის „რიგით კომუნისტებს“ „დაამხონ“ ეს „ხროვები“. და არიან ადამიანები, რომლებიც ხელს უწყობენ ასეთი ნაჯღაბნების გავრცელებას მთელ მსოფლიოში.

მეთოდები, რომლებსაც საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლაში იყენებენ ალბანელი ხელმძღვანელები და ისინი, ვინც მხარს უჭერს მათ, ლენინიზმისათვის უცხო მეთოდებია. მათი არსი ის არის, რომ შეცვალონ, დაამახინჯონ, გააყალბონ სკკპ და სხვა მოძმე პარტიათა შეხედულებანი, მიაწერონ მათ პოზიციები, რომლებიც არასოდეს არ სჭერიათ, მაგალითად, ის პოზიცია, თითქოს მათ მიაჩნდათ, რომ კაპიტალისტური ქვეყნების ხალხებმა არ უნდა მოახდინონ რევოლუცია, ჩაგრულმა ერებმა არ უნდა აწარმოონ ბრძოლა თავიანთი განთავისუფლებისათვის, მთელი მსოფლიოს ხალხებმა არ უნდა იბრძოლონ იმპერიალიზმის წინააღმდეგ და სხვ. უნდა ითქვას, რომ ტროცკიზმის გამოსვლების შემდეგ არც ერთ ოპორტუნისტულ მიმდინარეობას არ გამოუყენებია ასეთი საზარელი მეთოდი, რომელიც მთლიანად ამახინჯებს სიმართლეს. შეცდომაში შეჰყავს თავისი ქვეყნის ხალხი და მსოფლიო საზოგადოებრიობა. განა კომუნისტს შეეფერება ამტკიცებდეს, თითქოს საფრანგეთის, ამერიკის შეერთებული შტატების, იტალიის, ესპანეთის, ინგლისის, საბერძნეთის, ბელგიის, დანიის, პორტუგალიის, ერაყის, ჩილის, არგენტინის, ურუგვაისა და ბევრი სხვა ქვეყნის სახელოვანი მოძმე პარტიები. კლასობრივი ბრძოლების ცეცხლში რომ არიან და ყოველდღიურად ეწევიან ჭეშმარიტად გმირულ ბრძოლებს კაპიტალიზმის წინააღმდეგ და ამისათვის განიცდიან იმპერიალისტურ სახელმწიფოთა პოლიციური მანქანის რეპრესიებს, განზე უდგანან ხალხთა მასების ბრძოლას, მხარს უჭერენ იმპერიალიზმს? ეს ხომ მკრეხელობაა თავდადებულ მებრძოლთა მიმართ! ეს არსებითად დახმარებაა მტრისადმი, რომელსაც კომუნისტები ებრძვიან!

თავიანთი ძირგამომთხრელი მოქმედება საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის პოზიციების წინააღმდეგ ალბანელი ხელმძღვანელები და ისინი, ვინც მათ უჭერს მხარს, ცდილობენ მიჩქმალონ ყვირილით დეკლარაციისა და განცხადების დაცვის შესახებ. სინამდვილეში კი, როგორც ეს ყველასათვის ცხადია, მათ უარყვეს ამ საპროგრამო მარქსისტულ-ლენინური დოკუმენტების ფორმა და შინაარსი. ავიღოთ ისეთი უმნიშვნელოვანესი საკითხი, როგორიც არის კომუნისტური მოძრაობის ერთიანობა. განცხადებაში ნათქვამია: „მუშათა კლასის საქმისათვის ბრძოლის ინტერესები მოითხოვს თვითეული კომუნისტური პარტიისა და ყველა ქვეყნის კომუნისტთა დიადი არმიის რიგების სულ უფრო შემჭიდროებას, მათი ნებისყოფისა და მოქმედების ერთიანობას. საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ერთიანობის მუდმივი განმტკიცებისათვის ზრუნვა თვითეული მარქსისტულ-ლენინური პარტიის უმაღლესი ინტერნაციონალური მოვალეობაა“.

ამ მარქსისტულ-ლენინურ დებულებასთან განა აქვს რაიმე საერთო თეზისს „დროებითი უმრავლესობისა“ და „ჭეშმარიტების დამცველი უმცირესობის“ შესახებ? რა თქმა უნდა, არა. კომუნისტისათვის შეუფერებელი ეს თეზისი იმას ნიშნავს, რომ უცერემონიოდ შეუტიონ კომუნისტური მოძრაობის ერთიანობას, იმედი დაამყარონ უთანხმოებაზე ჩვენი მოძრაობის რიგებში, მის გათიშვაზე. ამ ანტიმარქსისტული, ანტიინტერნაციონალისტური თეზისის ავტორები ცდილობენ, მიუხედავად ფაქტებისა დაარწმუნონ ყველა, რომ ისინი დეკლარაციასა და განცხადებას იცავენ!

როგორც ეს ცხადყოფილ ობიექტურმა ანალიზმა, დოგმატიკოსები უხეშად თელავენ დეკლარაციისა და განცხადების დასკვნებს ისეთ ძირეულ საკითხებზეც, როგორიც არის ბრძოლა მშვიდობისა და მშვიდობიანი თანაარსებობისათვის. სოციალიზმზე გადასვლის ფორმები, მოძმე პარტიებს შორის ურთიერთობის პრინციპები. და როგორც უნდა ცდილობდნენ ალბანელი ხელმძღვანელები და ისინი, ვინც მათ უჭერს მხარს, მოსკოვის თათბირების დოკუმენტების მომხრეებად გაასაღონ თავი, ფაქტები, მათი საქმეები გვიჩვენებენ, რომ ყველა უმნიშვნელოვანეს საკითხში ისინი აბორიელებენ ხაზს, რომელიც მიმართულია საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის შეთანხმებული პოზიციების — 1957 წლის დეკლარაციის, 1960 წლის განცხადების წინააღმდეგ, მშვიდობის მანიფესტისა და მთელი მსოფლიოს ხალხებისადმი მიმართვის წინააღმდეგ.

სრულებით არ არის სწორი და ზიანს აყენებს კომუნისტური მოძრაობის ინტერესებს ერთი კომუნისტური პარტიის პრეტენზია აცხადებდეს თავისი შეუცდომლობის უფლებას და ამასთან უგულებელყოფდეს სხვა კომუნისტური პარტიების აზრს. ეს შეუწყნარებელია ვითარების შეფასებისას ამა თუ იმ ქვეყანაში, სადაც მოქმედებს და იბრძვის სხვა მოძმე პარტია. ეს მით უმეტეს შეუწყნარებელია, როცა ლაპარაკია უმნიშვნელოვანეს საკითხებზე, რომლებიც შეეხება არა ერთ პარტიას ან რამდენიმე ქვეყნის პარტიებს, არამედ მსოფლიოს ყველა კომუნისტურ პარტიას, საერთაშორისო რეაქციის, იმპერიალიზმისა და ომის ძალების წინააღმდეგ საერთაშორისო მუშათა და კომუნისტური მოძრაობის საერთო საკითხებს. მთელი მსოფლიოს კომუნისტური მოძრაობის პოზიციები ამ საკითხებში ჩამოყალიბებულია 1957 და 1960 წლების მოსკოვის თათბირების დოკუმენტებში. თვითეულმა კომუნისტურმა პარტიამ ზუსტად უნდა გაითვალისწინოს და დაიცვას მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის ეს ერთიანი აზრი. სხვა გზა არ არის.

ვ. ი. ლენინი მოითხოვდა „საერთაშორისო პროლეტარული დისციპლინის“ აღიარებას. იგი წერდა: „ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ მუშათა განთავისუფლებისათვის მათი ბრძოლის დიდ საკითხებს ვწყვეტთ ისე, რომ ვემორჩილებით რევოლუციური პროლეტარიატის საერთაშორისო დისციპლინას, ვითვალისწინებთ სხვადასხვა ქვეყნის მუშათა გამოცდილებას, ანგარიშს ვუწევთ მათ ცოდნას, მათ ნებას და ამნაირად საქმით (და არა სიტყვით, როგორც რენერები, ფრიც ადლერები და ოტო ბაუერები) ვახორციელებთ კომუნიზმისათვის მუშათა კლასობრივი ბრძოლის ერთიანობას მთელ მსოფლიოში“ (თხზ., ტომი 31, გვ. 322). ვ. ი. ლენინი გვასწავლიდა, რომ ყოველი შეგნებული მუშა თავს მარქსისტთა საერთაშორისო ოჯახის წევრად უნდა გრძნობდეს და „არც ერთი წუთითა არ უნდა წყდებოდეს მუშათა საერთაშორისო არმიას“ (თხზ., გამოცემა მე-5, ტომი 24, გვ. 201).

კომუნისტურ პარტიებს არა აქვთ ერთიანი წესდება, მაგრამ მათ აქვთ ყველასათვის საერთო, სავალდებულო გადაწყვეტილებანი — მოსკოვის თათბირების გადაწყვეტილებანი. ამ გადაწყვეტილებათა ერთგულება თვითეული კომუნისტური პარტიის ინტერნაციონალური მოვალეობაა. მოსკოვის თათბირების კოლექტიურად შემუშავებული გადაწყვეტილებანი რომ არ შეესრულოთ, თანამედროვე პირობებში ეს ნიშნავს დავანგრიოთ კომუნისტური მოძრაობის ერთობა, ჩვენ-ჩვენს „ეროვნულ სახლებში“ წავიდ-წამოვიდეთ, ეს იმას ნიშნავს, რომ საბოლოო ანგარიშით ხელი შევუწყოთ იმპერიალიზმს მისი გეგმების განხორციელებაში, შევაფერხოთ ხალხთა განმათავისუფლებელი ბრძოლა.

კომუნისტებს სჭირდებათ არა „უმრავლესობად“ და „უმცირესობად“ გამიჯვნა, არამედ ერთიანობა, ერთიანობა და ერთიანობა. წმიდად დაიცვას თავისი შეკავშირება და ერთიანობა — აი კომუნისტური მოძრაობის უმაღლესი კანონი, ყველა ჯურის რეფორმისტთაგან მისი დიდმნიშვნელოვანი განმასხვავებელი ნიშანი.

„ერთიანობა, — წერდა ვ. ი. ლენინი, — აუცილებელია მუშათა კლასისათვის. ერთიანობას ახორციელებს მხოლოდ ერთიანი ორგანიზაცია, რომლის გადაწყვეტილებებს ალალ-მართლად ატარებს ყველა შეგნებული მუშა. განიხილო საკითხი, გამოთქვა და მოისმინო სხვადასხვა აზრი, გაგო ორგანიზებულ მარქსისტთა **უმრავლესობის** შეხედულება, გამოხატო ეს აზრი დაუსწრებლად გამოტანილი გადაწყვეტილებით, ქეთილსინდისიერად შეასრულო ეს გადაწყვეტილება — აი, რას ეწოდება ყველგან ქვეყნად, ყველა გონიერ ადამიანთა შორის **ერთიანობა**. და ასეთი ერთიანობა უსაზღვროდ ძვირფასია, უსაზღვროდ მნიშვნელოვანია მუშათა კლასისათვის. დაქსაქსული მუშები არარაა. გაერთიანებული მუშები — ყველაფერია“ (თხზ., ტ. 19, გვ. 621-622). ვ. ი. ლენინის ეს სიტყვები არასოდეს არ უნდა დავივიწყოთ.

II ინტერნაციონალის პერიოდში მსოფლიო ბურჟუაზია მიესალმა სოციალ-დემოკრატიული ხელისუფლების ღალატს და ომი გამოუცხადა ლენინს და ლენინიზმს. ახლა მსოფლიო ბურჟუაზია იბრძვის კომუნისტური პარტიების წინააღმდეგ არანაკლები გაოფორებით, ვიდრე თავის დროზე იბრძოდა ლენინისა და ბოლშევიკების წინააღმდეგ, და სამართლიანად მიაჩნია კომუნისტური პარტიები თავის მთავარ მოწინააღმდეგეებად, ხალხის ინტერესებისათვის, კაპიტალიზმისა და ხალხთა მასების ექსპლოატაციის ლიკვიდაციისათვის ყველაზე მედგარ მებრძოლებად. ის, რომ გამოაცხადო დიადი არმია, რომელიც დღითი დღე აწარმოებს ნამდვილ, რეალურ, ჭეშმარიტად გმირულ ბრძოლას იმპერიალიზმის წინააღმდეგ, ხალხთა ბედნიერებისა და თავისუფლებისათვის, სოციალიზმის გამარჯვებისათვის, „დროებით უმრავლესობად“, რომელიც „ჯიუტად იცავს თავის შეცდომებს“ და თითქოს მიჰყვება რევიზიონისტულ გზას, მსგავსად იმისა, როგორც II ინტერნაციონალის ხელმძღვანელები იქცეოდნენ, — იმას ნიშნავს, რომ ლახვარი ჩასცე რევოლუციის ძირითად ძალას, შეაფერხო რევოლუციის საქმის გამარჯვება.

ახლა მთელ პროგრესულ კაცობრიობას ღრმად აქვს შეგნებული, რომ საბჭოთა კავშირი, სოციალისტური ბანაკი, საერთაშორისო კომუნისტური, მუშათა და ეროვნულ - განმათავისუფლებელი მოძრაობა აწარმოებენ უდიდეს ისტორიულ ბრძოლას იმპერიალიზმის წინააღმდეგ, მშვიდობისათვის, დემოკრატიისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობისა და სოციალიზმისათვის. იმპერიალიზმის პოლიტიკოსებსა და იდეოლოგებს თავიანთ მთავარ მოწინააღმდეგედ უწინარეს ყოვლისა მიაჩნიათ საბჭოთა კავშირი, სოციალისტური ბანაკი, კომუნისტური პარტიები და ძალები, რომლებიც მხარს უჭერენ მათ. იმპერიალიზმის მთელი უზარმაზარი მანქანა მთავარ დარტყმას მიმართავს კომუნიზმის წინააღმდეგ, იმ იდეების წინააღმდეგ, რომლებიც ემყარება სოციალიზმისა და კომუნიზმის ძლევამოსილად მშენებელ ქვეყნებში, მათი პოლიტიკის წინააღმდეგ.

არ შეიძლება არ ვხედავდეთ, რომ იმპერიალისტები ცდილობენ მიიღონ სარგებლობა კომუნისტთა შორის წარმოშობილი უთანხმოებით და პირდაპირ აცხადებენ, რომ ეს „სასარგებლოა დასავლეთისათვის“, „აბრკოლებს კომუნისტურ წარმატებებს“. ფრიად დამახასიათებელია, რომ პარალელურად გაისმის მოწოდებანი „თავისუფალი სამყაროს განმტკიცებისათვის“, „დასავლეთის კავშირის დარაზმვისათვის“ და ა. შ. იმპერიალისტური ბანაკის ლიდერთა ამ ცდებს — შეასუსტონ მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ძალები და ამ გზით განამტკიცონ რეაქციისა და აგრესიის პოზიციები — საერთაშორისო კომუნისტურმა მოძრაობამ უნდა უპასუხოს თავისი რიგების ახალი შეკავშირებითა და ერთიანობის განმტკიცებით.

კომუნისტური მოძრაობის წინაშე განსაკუთრებით რთული და პასუხსაგები ამოცანები დგას. ხალხთა მასების ძირეული ინტერესები, წარმატებითი ბრძოლის გამლა იმპერიალიზმის წინააღმდეგ, ექსპლოატაციისა და ეროვნული ჩაგვრის სამარცხვინო სისტემის ლიკვიდაციისათვის, სოციალიზმისა და კომუნიზმის გამარჯვებისათვის, ყველაფერი ეს დაბეჯითებით მოითხოვენ კომუნისტური პარტიების საერთაშორისო კავშირის განმტკიცებას, მის მტკიცე, ურღვევ ერთიანობას. ისტორია არ აპატიებს არც ერთ მოღვაწეს, რომელიც ესოდენ პასუხსაგებ ისტორიულ პერიოდში კი არ შეიგნებს მთავარს, რაც საჭიროა ახლა—ყოველი ღონისძიებით და დაუცხრომლად განამტკიცოს კომუნისტური პარტიების ერთიანობა, არამედ იმოქმედებს ხალხთა ძირეული ინტერესების საწინააღმდეგოდ. არ შეიძლება დაგუშვათ, რომ მსოფლიო კომუნისტურ მოძრაობასა და ალბანელ ხელმძღვანელთა და მათ მომხრეთა შორის არსებულმა უთანხმოებამ მსოფლიოს კომუნისტებს დაუნრდილოს იმპერიალიზმის წინააღმდეგ, ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, მშვიდობისათვის, დემოკრატიისათვის, სოციალიზმისა და კომუნიზმისათვის ბრძოლის ამოცანები.

იმ უთანხმოებას, რომელიც ცალკეულ კომპარტიას შორის არსებობს ამა თუ იმ საკითხში, არა აქვს ღრმა ფესვები სოციალისტური ქვეყნების სოციალურ წყობილებაში. თუ კაპიტალიზმის პირობებში წინააღმდეგობებს აქვთ ობიექტური საფუძველი და ამიტომ ანტაგონისტური ხასიათისა არიან, კომუნისტური პარტიების უთანხმოებას უწინარეს ყოვლისა სუბიექტური ხასიათი აქვს. მაშასადამე, არსებობს ყველა საფუძველი იმისათვის, რომ წარმატებით დავძლიოთ უთანხმოებანი. საჭიროა დავემყაროთ საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის უმაღლეს მიზნებსა და ინტერესებს და გამოვნახოთ დაახლოების გზები, თანამშრომლობისა და ერთიანობის გზები. თუ

განვამტკიცოთ კომუნისტური მოძრაობის ერთიანობა მშვიდობისა და სოციალიზმის გამარჯვებისათვის

(დასასრული)

განვითარებაში. იმ ნაბიჯებმა, რომლებიც უკანასკნელ დროს გადადგეს იუგოსლავმა კომუნისტებმა და მათმა ხელმძღვანელებმა საშინაო და საგარეო პოლიტიკაში, აღმოფხვრეს ბევრი რამ, რაც მცდარი იყო და ზიანს აყენებდა სოციალიზმის მშენებლობის საქმეს იუგოსლავიაში. იუგოსლავმა კომუნისტებმა გადადგეს ნაბიჯი მთელ მსოფლიო კომუნისტურ მოძრაობასთან დაახლოებისა და ერთიანობის მხარეს. ვინც ამტკიცებს, რომ იუგოსლავიაში „რესტავრირებულია კაპიტალიზმი", რომ იქ გაბატონებული მდგომარეობა დაიკავეს „ახალმა ბურჟუაზიულმა ელემენტებმა", მტკნარ სიცრუეს ამბობს, არ სურს ანალიზი გაუკეთოს ფაქტებსა და მოვლენებს, ცვლის მათ მონაჭორით და ცდილობს გააგდოს სოციალიზმისათვის მებრძოლთა რიგებიდან მთელი ამ ქვეყნის ხალხი. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია პირდაპირ ამბობს, რომ იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირთან ჯერ კიდევ აქვს უთანხმოებანი მთელ რიგ იდეოლოგიურ საკითხებში. მაგრამ იუგოსლავიის დაახლოება კომუნიზმის მშენებელ ქვეყანასთან, უეჭველია, ხელს შეუწყობს უთანხმოებათა უფრო სწრაფად დაძლევას მთელ რიგ იდეოლოგიურ საკითხებში. შეესაბამება თუ არა სოციალიზმის ძალების კონსოლიდაცია კომუნისტური მოძრაობის ინტერესებს? უთუოდ შეესაბამება. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ესწრაფვის სოციალიზმის ქვეყნების, ყველა კომუნისტური პარტიის შეკავშირებას, და არა მათს გათიშვას.

კომუნისტურ მოძრაობაში არ არიან „ზემდგომი" და „ქვემდგომი" პარტიები. კომუნისტური პარტიები მომმე პარტიები არიან. მათ აქვთ ერთი იდეოლოგია — მარქსიზმ-ლენინიზმი, ერთი მიზანი—ბრძოლა იმპერიალიზმის წინააღმდეგ, კომუნიზმის გამარჯვებისათვის. ყველა კომუნისტური პარტია თანასწორი და დამოუკიდებელია, ყველას ეკისრება პასუხისმგებლობა კომუნისტური მოძრაობის ბედისათვის, მისი გამარჯვებებისა და წარუმატებლობისათვის. ეს დებულებანი პირველად ჩვენმა პარტიამ გამოთქვა. საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ თავისი ინიციატივით წამოაყენა წინადადება, რომ განცხადებაში და კომუნისტური მოძრაობის სხვა დოკუმენტებში არ შეეტანათ ის ფორმულა, რომ საბჭოთა კავშირი დგას სოციალისტური ბანაკის სათავეში, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია კი — კომუნისტური მოძრაობის სათავეში. ესეც ერთ-ერთი მაჩვენებელია იმისა, თუ რა უაღრესი სიზუსტით იცავს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია მომმე პარტიათა თანასწორუფლებიანობისა და სოლიდარობის პრინციპებს, რა უანგაროდ ერთგულია პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპებისა. პროლეტარული ინტერნაციონალიზმისადმი ერთგულება ჩვენმა პარტიამ შეისისხლხორცა, და ყველა ქვეყნის ხალხები ამაში რწმუნდებიან ყოველდღე და მრავალი მაგალითით.

ლენინის პარტია, რომელმაც პირველმა გაკაფა გზა სოციალიზმისაკენ, რომელსაც პირველს მიაქვს იერიში კომუნიზმის სიმაღლეებზე, რომელიც ყოველმხრივ ძმურ დახმარებას უწევს სოციალიზმის მშენებლებს სხვა ქვეყნებში, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მებრძოლებს, რომელიც დაუცხრომლად აკავშირებს კომუნისტურ მოძრაობას, რომელმაც მაღლა აღმართა მშვიდობისათვის, თერმოატომურ ომის საშინელებისაგან კაცობრიობის ხსნისათვის ბრძოლის დროშა, — ყველა ამ და სხვა თავისი საქმით პირნათლად ასრულებს თავის ინტერნაციონალურ მოვალეობას. და ის, ვინც ფაქტების საწინააღმდეგოდ ცდილობს სახელი გაუტეხოს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ინტერნაციონალიზმს, მის დიდ წვლილს მსოფლიო განმათავისუფლებელ მოძრაობაში, ზიანს აყენებს ყველა ხალხის განმათავისუფლებელ ბრძოლას.

კომუნისტურ პარტიებს აქვთ ნაცადი მეთოდი — კოლექტიური განხილვის გზით სადავო საკითხთა გადაჭრის მეთოდი. ჩვენი პარტია ყოველთვის იბრძოდა ასეთი მეთოდისათვის. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ღრმად არის დარწმუნებული, რომ თანამედროვე მსოფლიო განვითარების უმნიშვნელოვანეს საკითხთა კოლექტიური განხილვა შესაძლებლობას იძლევა უზრუნველყოფილ იქნას საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის შეკავშირება.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია კვლავაც დაუცხრომლად იბრძოლებს ხალხთა დიადი სოციალისტური თანამეგობრობის ერთიანობისათვის, ყოველგვარი გამთიშველი მოქმედების წინააღმდეგ, რათა განმტკიცდეს საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ერთიანობა მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი პრინციპების საფუძველზე.

ფილმი ომის წინააღმდეგ

ინტერვიუ ჯუზეპე დე სანტისთან

მოსკოვის მიდამოებში დაიწყო გადაღება იტალია-საბჭოთა კავშირის წარმოების პირველი სურათისა „ისინი მოდიოდნენ აღმოსავლეთისაკენ". „მოსფილმის" სტუდიაში ამ სურათს დგამს იტალიელი რეჟისორი ჯუზეპე დე სანტისი, რომელიც ფართოდ ცნობილია ჩვენს ქვეყანაში როგორც შემქმნელი მსოფლიოში აღიარებული კინოსურათებისა „რომი 11 საათზე", „არ არის მშვიდობა ზეთის ხილის ხის ქვეშ", „დაკარგული ოცნებანი", „ერთი წლის სიგრძის გზა", „ტრაგიკული ნადირობა", „სიყვარულის დღეები" და ბევრი სხვა.

საკდესის კორესპონდენტთან ინტერვიუში დე სანტისმა ასე განსაზღვრა ახალი ნამუშევრის თემა: „ეს არის ფილმი ომის წინააღმდეგ, ომის შესახებ".

რეჟისორის სიტყვით, სურათი იქნება კინომოთხრობა იტალიის პოლკის მოქმედების შესახებ საბჭოთა ფრონტზე, დაწყებული 1941 წლის ზაფხულით და დამთავრებული ჰიტლერელთა არმიის უკან დახევით 1943 წლის ზამთარში. დე სანტისმა განიზრახა წარმოადგინოს ტრაგედია იტალიელი ხალხისა, ფაშიზმმა რომ ჩაადა იმ ომში, რომელიც არ სურდა ხალხის უმრავლესობას.

ფაშიზმი ამ ტრაგედიის მთავარი დამნაშავეა — აი ფილმის მთავარი აზრი. ომის უაზრობა, აბსურდულობა, მისი დანაშაულებრივი ხასიათი ბოლოს და ბოლოს ესმით ფილმის იმ პერსონაჟებსაც, რომლებსაც ჰქონდათ ილუზიები ამ მხრივ.

რეჟისორმა განაცხადა, რომ სცენარის ავტორები მასთან ერთად არიან სერგი სმირნოვი, ენიო დე კონჩინი, აუგუსტო ფრაზინეტი, ჯანდომინიკო ჯანნი და ჯანკარლო ფუსკო.

ფილმში არ იქნება გმირი ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, გმირი როგორც იდეის გამომსახველი. სურათის მთავარ აზრს, თქვა დე სანტისმა, ამკვიდრებს ყველა პერსონაჟი.

რაც შეეხება რეჟისურას, საბჭოთა კავშირის მხრივ დადგმაში მონაწილეობენ რეჟისორები დიმიტრი ვასილიევი, ივანე პარამონოვი, ისაკ ბიცი. ოპერატორები — ანტონიო სეკი და ვალენტინა ხოვანსკაია. მხატვარი დავით ვინიცკი.

რამდენადაც ფილმი — ეს არის ომი, როგორც მას ხედავენ იტალიელები, მასში ძირითადად მონაწილეობენ იტალიელი მსახიობები.

„რუსული" როლებისათვის სხვებთან ერთად მიწვეული არიან ტატიანა სამოილოვა, ჟანა პრობორენკო, ოთარ ღოღობერიძე. „რუსული" სიმოკლის მიუხედავად, თქვა დე სანტისმა, ნაჩვენებია საბჭოთა ხალხის დამახასიათებელი ნიშნები—ჰუმანიზმი, გამბედაობა, გმირობა. ფილმში მონაწილეობას მიიღებს ორი ამერიკელი მსახიობი, რომელთა ჩამოსვლას დღე-დღეზე მოელიან.

გადაღებისათვის ნატურა არჩეულია მოსკოვის მიდამოებში, უკრაინაში და დონბასის რაიონში. ჯუზეპე დე სანტისი ვარაუდობს დაამთავროს ფილმი ზაფხულის დამლევს.

ე. სტიშოვა,
(საკდესის კორესპონდენტი).

ხელოვნება და ცხოვრება

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრმა ხორცი მაყურებლები სასკოლო არდადეგების ღონისძიებებისა საბავშვო სპექტაკლს „ბუბა ერწილის" დადგმით გაუხარა.

ეს კარგი ბალეტი [illegible] ენაზე [illegible] ავტორი — კომპოზიტორი [illegible] ამვილმა.

ოპერის ლიბრეტო ეკუთვნის ნ. ლეხუტაშვილს.

ოპერის დადგმა ეკუთვნის ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს ი. ასკურავას.

ცეკვები დადგა სახელმწიფო პრემიის ლაურეატმა ზ. კიკალეიშვილმა.

ჯ. მაღრაძე.

ჰიათუარა. (საკ. კორ.). აკ. წერეთლის სახელობის სახელმწიფო თეატრის კოლექტივმა მაყურებელს მორიგ პრემიერად უჩვენა **გ. ივანიშვილის** პიესა **„შემთხვევა გზაზე".** სპექტაკლი დადგა თეატრის მთავარმა რეჟისორმა გ. სეგისკვერაძემ, მხატვრულად გაადორმა საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ მ. აბაკანდაძემ.

„მნათობის" ახალი ნომერი

გამოვიდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ყოველთვიური ორგანოს „მნათობის" 1962 წლის უკანასკნელი — მეთორმეტე ნომერი.

მეცნიერება — კაცობრიობას



დელი, 5 იანვარი. (საკდესი). ინდოეთის პრეზიდენტი ს. რადჰაკრიშნანი, რომელმაც ვისაკაპატნამში სიტყვა წარმოთქვა ანდრა პრადეშის შტატის უნივერსიტეტის ახალი სასწავლო კორპუსების გახსნის გამო, მიესალმა საბჭოთა კავშირის გრანდიოზულ მიღწევებს კოსმოსური სივრცის მშვიდობიან ათვისებაში. მან აღნიშნა პროგრესი, რომელსაც საბჭოთა მეცნიერებამ მიაღწია და თქვა, რომ საბჭოთა კავშირი ვარსკვლავებისაკენ წარმატებითი გაფრენების განხორციელებამდე სისტემატურად იყენებდა პრაქტიკაში მეცნიერულ აღმოჩენებს საბჭოთა კავშირის განვითარების სხვადასხვა სფეროში. პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა მეცნიერების დარგში საერთაშორისო თანამშრომლობის აუცილებლობას. ასეთი თანამშრომლობა, თქვა მან, ხელს უწყობს კაცობრიობის სოლიდარობის განმტკიცებას.

ინდოეთის პრეზიდენტი მიესალმა კარიბის ზღვის რაიონში კრიზისის მშვიდობიან მოწესრიგებას და იმედი გამოთქვა, რომ დასავლეთ ბერლინის საკითხი აგრეთვე მშვიდობიანი გზით გადაიჭრება.

კოლუმბიის სტუდენტები მუდამ ამერიკის შეერთებული შტატების მონოპოლიების მოძალეობის წინააღმდეგ, რევოლუციური კუბის დაცვისათვის მებრძოლთა ავანგარდში არიან. სურათზე: სტუდენტთა დემონსტრაციის მონაწილე, პოლიციელთა მიერ შეპყრობილი კოლუმბიის დედაქალაქ ბოგოტაში.

ფოტო ჟურნალ „ურულ სტიუდენტს ნიუსიდან".

მაკარტიზმი თურქეთში

პარიზი, 6 იანვარი. (საკდესი). ფრანს პრესის სააგენტო იუწყება: დღეს სტამბოლში „კომუნისტური პროპაგანდისათვის" დაუპატიმრეს სტამბოლის უნივერსიტეტის დოცენტი აღნან ბენკი. დაპატიმრებულია აგრეთვე ჟურნალ „ათაკის" დირექტორი აფსაი ტიმუჩინი.

1962 წელს, აღნიშნავს სააგენტო, თურქეთში გაიმართა 273 პროცესი პრესის მუშაკთა საქმის გამო.

საკდესის კომენტატორი **ი. სერაფიმოვი** წერს:

დაპატიმრებულია „კომუნისტური პროპაგანდისათვის" — ეს სიტყვები სულ უფრო ხშირად გვხვდება თურქეთის პრესის ფურცლებზე. „კომუნისტურ პროპაგანდას" ბრალად დებენ ყველას, ვინც მოითხოვს გარდაქმნებს თურქეთში, ხალხის ცხოვრების გაუმჯობესებას. განსაკუთრებით სასტიკად უსწორდებიან იმათ, ვინც ცდილობს ილაპარაკოს სიმართლე საბჭოთა კავშირის შესახებ, სოციალისტური ბანაკის ქვეყნების შესახებ. სულ ამ ცოტა ხნის წინათ დამთავრდა გასამართლება ლამი ირენის საქმის გამო. თურქი მასწავლებელი დაუპატიმრეს მხოლოდ იმისათვის, რომ მოსწავლეებს ესაუბრა ი. გაგარინის გაფრენის შესახებ. სამხედრო ტრიბუნალმა ირენს მიუსაჯა 6 წლის პატიმრობა, და მხოლოდ თურქეთის საზოგადოებრიობის ენერგიულმა პროტესტებმა აიძულეს სასამართლო ხელისუფლები გადაესინჯათ ეს სამარცხვინო განაჩენი. ირენს მიესაჯა ერთი წლის პატიმრობა... „პრეზიდენტის შეურაცხყოფისათვის".

მოსამსახურემ კიულაჰჩიგილმა უამბო ვაჟიშვილს, თუ რა წარმატებები აქვს სამყაროს კოსმოსის ათვისებაში. სტამბოლის სასამართლომ მამას მიუსაჯა სამი წლის, ხოლო შვილს 8 თვის პატიმრობა, ბრალად დასდო მათ „კომუნისტური პროპაგანდა".

კლეგისციტი გრაზილიაში

რიო-დე-ჟანეირო, 7 იანვარი. (საკდესი). გუშინ ბრაზილიაში გამართა პლებისციტი — წყდებოდა საკითხი, დარჩება თუ არა საპარლამენტო წყობილება, რომელიც დამყარდა 1961 წლის სექტემბერში, თუ ბრაზილია დაუბრუნდება საპრეზიდენტო წყობილებას.

პროგრესული ძალები, მათ შორის კომპარტია, მოითხოვდნენ პარლამენტარიზმის იმ ფორმის გაუქმებას, რომელიც ბრაზილიას თავს მოახვიეს რეაქციულმა წრეებმა და რომელმაც ბრაზილიის კონკრეტულ პირობებში ვერ გაამართლა თავისი დანიშნულება. კენჭისყრა მიმდინარეობდა მშვიდობიან ვითარებაში.

ფაკტიზმი

სპეკ დელეგაცია

ულან-გატორში

ულან-გატორი, 7 იანვარი. (საკდესი). მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დღეს მიიღო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ინტერნაციონალიზმს, მის დიდ წვლილს მსოფლიო განმათავისუფლებელ მოძრაობაში, ზიანს აყენებს ყველა ხალხის განმათავისუფლებელ ბრძოლას.

კომუნისტურ პარტიებს აქვთ ნაცადი მეთოდი — კოლექტიური განხილვის გზით სადავო საკითხთა გადაჭრის მეთოდი. ჩვენი პარტია ყოველთვის იბრძოდა ასეთი მეთოდისათვის. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ღრმად არის დარწმუნებული, რომ თანამედროვე მსოფლიო განვითარების უმნიშვნელოვანეს საკითხთა კოლექტიური განხილვა შესაძლებლობას იძლევა უზრუნველყოფილ იქნას საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის შეკავშირება.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია კვლავაც დაუცხრომლად იბრძოლებს ხალხთა დიადი სოციალისტური თანამეგობრობის ერთიანობისათვის, ყოველგვარი გამთიშველი მოქმედების წინააღმდეგ, რათა განმტკიცდეს საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ერთიანობა მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი პრინციპების საფუძველზე.

ფეხვედრა პეკინში

პეკინი, 7 იანვარი. (საკდესი). ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარემ მაო ძე-დუნმა დღეს მიიღო ინდონეზიის პირველი მინისტრის მოადგილე და საგარეო საქმეთა მინისტრი სუბანდრიო და მისი თანმხლები პირნი. დარბაზობას დაესწრნენ აგრეთვე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერი ჯოუ ენ-ლაი, პრემიერის მოადგილე ჩენ ი და სხვა ოფიციალური პირები. როგორც სინხუას სააგენტო იუწყება, მაო ძე-დუნსა და სუბანდრიოს შორის გაიმართა გულითადი, მეგობრული საუბარი.

დღესვე ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარემ მაო ძე-დუნმა მიიღო ცეილონის პრემიერ-მინისტრი ქ-ნი ს. ბანდარანაიკე და მისი თანმხლები პირნი.

ელექტრონის პედაგოგი

ლენინგრადი. (საკდესი). ელექტრონულ-გამოსათვლელ მანქანას სავსებით ძალუძს შეასრულოს „მასწავლებლის" როლი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში.

ასეთი დასკვნა გამოიტანა ლენინგრადის უნივერსიტეტის მეცნიერთა ავტორიტეტულმა კომისიამ მას შემდეგ, რაც გამოსცადა საბჭოთა კავშირში პირველი სწავლება გერმანული ენის გრამატიკის სასწავლო პროგრამისა.

პროგრამა შედგენილი იყო ელექტრონულ-გამოსათვლელი მანქანისათვის „ურალი-1", რომელიც ფილოლოგ სტუდენტებთან „საუბარში" არა მარტო კონტროლს უწევდა ცოდნას, არამედ განმარტავდა კიდევაც სტუდენტების მიერ დაშვებულ შეცდომათა არსს.

გამოცდა მოეწყო კიევსა და ლენინგრადში. როგორც კი ექსპერიმენტატორმა ჩართო მანქანა, „ურალი-1"-მა ტელეტაიპით გადასცა პირველი დავალება. მისი შესრულება ადვილი აღმოჩნდა, მაგრამ ელექტრონის „პედაგოგს" შეეძლო არა მარტო გამოკითხვა, არამედ სწავლებაც, და გადაწყვიტეს ფართოდ ესარგებლათ ამით.

„თარგმნეთ", — სთხოვა მანქანამ „ურალი-1", და გერმანულ ენაზე შესთავაზა ზედსართავისა და არსებითი სახელის შეხამება.

„არ შეგვიძლია", — უპასუხეს სტუდენტებმა.

„მაშინ განსაზღვრეთ პირველი სიტყვის ნაწილი", — მოითხოვდა „ურალი-1".

„ზმნა", — განზრახ არ უპასუხეს სწორად სტუდენტებმა.

„სწორი არ არის", — განაცხადა მანქანამ და მოთმინებით ჩამოთვალა ზმნის ნიშნები, გაიმეორა თავდაპირველი კითხვა.

„ზმნისზედა" — კვლავ არ უპასუხეს სწორად მანქანას.

მანქანამ „ურალი-1"-მა წყნარად აღნიშნა შეცდომა და მკაფიოდ დაახასიათა ზმნისზედის ნიშნები.

დიალოგი დიდხანს გაგრძელდა. საერთო სიცილში მანქანას აძლევდნენ ისეთ უაზრო პასუხებს, რომლებიც მოთმინებიდან გამოიყვანდა ყოველ მასწავლებელს, მაგრამ „ურალი-1" განაგრძობდა ახსნასა და განმარტებას, აიძულებდა სტუდენტებს გაეცათ სწორი პასუხი.

პირველ სასწავლო პროგრამას საფუძვლად უდევს ზუსტი თანმიმდევრულობით მოცემული მკაფიო წესების ხისტემა.

წინასწარ, რამდენიმე წლის განმავლობაში, ლენინგრადის უნივერსიტეტის მათემატიკური ლინგვისტიკის კათედრის უფროსი მასწავლებელი ანა ბელოპოლსკაია აგროვებდა და სისტემაში მოჰყავდა სტუდენტების შეცდომები. ეს გათვალისწინებული იყო პროგრამის შედგენის დროს.

„სასწავლო პროგრამების მასობრივი გამოყენება შესაძლებლობას მოგვცემს შემდგომში ჯგუფური მეთოდის ნაცვლად შემოვიღოთ მოსწავლეთა და სტუდენტთა მომზადების ინდივიდუალური მეთოდი", — განუცხადა საკდესის კორესპონდენტს უნივერსიტეტის გამოთვლითი ცენტრის დირექტორმა გიორგი სამოსიუკმა.

მოკლედ ყველაფერზე

ჩვენი კორესპონდენტები გვატყობინებენ

□ **ბათუმი.** (საკ. კორ.). პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს დადგენილებით აჭარის პროფსაბჭოსთან შეიქმნა ტურიზმის აჭარის საოლქო საბჭო, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ პროფკავშირული, კომკავშირული და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები, სულ 37 კაცი.

□ **თერჯოლა.** (საკ. კორ.). აქ ახალ, კეთილმოწყობილ შენობაში გაიხსნა წიგნის მაღაზია. მას აქვს პოლიტიკური, მხატვრული, სასოფლო-სამეურნეო და სამეცნიერო-პოპულარული ლიტერატურის განყოფილებები. აქვეა კულტსაქონლის სექცია, რომელიც ვაჭრობს მუსიკალური ინსტრუმენტებით, სხვადასხვა მარკის რადიომიმღებებით, სათამაშოებით და სხვ.

□ **ქუთაისი.** (საკ. კორ.). აქ დამთავრდა ღრმად მოხუცებულთა სახლი-ინტერნატის მშენებლობა. ორსართულიან კეთილმოწყობილ სახლს აქვს ნათელი და თბილი საძინებელი ოთახები, სასადილო, აბანო და სხვა დამხმარე სათავსოები.

სახლი-ინტერნატი უფასო მომსახურებას გაუწევს 100 მოხუცს.

მაცივარი „სნაიგე"

ვილნიუსი, (საკდესის კორ.). მაცივარი „სნაიგე" იმ მაცივრებისაგან განსხვავებით, რომლებსაც ახლა უშვებენ, დამზადებულია პლასტიკებისა და მერქნისაგან. ეს მასალები უფრო მოხდენილს ხდიან მაცივარს და აუმჯობესებენ საექსპლოატაციო თვისებებს. „სნაიგეს" ტევადობა თითქმის ერთნახევარჯერ მეტია „სარატოგ-2"-თან შედარებით, თუმცა სიდიდით ეს მაცივრები ერთნაირია. ელექტროვიბრაციული კომპრესორის მეოხებით „სნაიგე" ხარჯავს ნაკლებ ენერგიას და უხმაუროდ მუშაობს.

ერთ-ერთი ვარიანტით მაცივარი დამზადებულია ბუფეტთან ერთად. წელს ლიტვის საყოფაცხოვრებო ხელსაწყოთმშენებლობის სიახლე — მაცივარი „სნაიგე" გაჩნდება მშრომელთა ბინებში.



8 იანვარი

12.00 — მხატვრული ფილმი „მძიმე საზღაური", 18.00 — ყველაზე პატარებისათვის — „ცეროდენას ეკრანი", 18.20 — გადაცემა მოსწავლეთათვის — „დიდი გზის დასაწყისი", 18.40 — კინონარკვევი, 19.00 — საუბარი — „დავაჩქაროთ ახალი ტექნიკის დანერგვა", 19.20 — მოკლემეტრაჟიანი ფილმი, 19.50 — საესტრადო-სატელევიზიო ალმანახი „სალაღობო", 20.40—მშობელთა ტელეუნივერსიტეტი, 21.00—ახალი ამბები, 21.15 — მხატვრული ფილმი „შემწყვდევა".



9 იანვარი

პირველი პროგრამით

06.40 — ქართული ხალხური მუსიკა, 08.30 — ჩეხოსლოვაკური სიმღერები და საცეკვაოები, 09.10 — ა. შავერნაშვილი. სონატა ვიოლინოსა და ფორტეპიანოსათვის, 10.30 — „მწერალი მიკროფონთან", 10.45 — ქართული მსუბუქი მუსიკა, 11.15 — სოპერეტო მუსიკა, 12.00 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის ციკლიდან — „მოგითხრობთ თქვენს თანატოლებზე", 12.15 — დ. კაბალევსკი. მეოთხე სიმფონია, 13.40 — კონცერტი — „ჩვენი თვითმოქმედება", 17.15 — ს. ბარხუდარიანი. მეორე საბალეტო სიუიტა „ნარინე", 17.35 — გადაცემა მოსწავლეთათვის, რადიოდადგმა „მოხერხებული კურდღელი", 18.10 — მუსიკალური ნაწყვეტები საზღვარგარეთული კინოფილმებიდან, 18.45 — შოპენი. ფანტაზია ფა-მინორი, 19.30 — საუბარი — „არსებობს თუ არა ტელეპატია", 20.15 — ქართველ კომპოზიტორთა საციოლინო ნაწარმოებები მ. იაშვილის შესრულებით, 20.30 — გადაცემა — „თბილისი, ბაქო, ერევანი", 21.00 — ნაწყვეტები ბელინის ოპერა „ნორმადან", 21.50 — რადიოჟურნალი „ლიტერატურა და ხელოვნება", 23.30 — ცფასმანი. ხუთ პიესა ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის.

მეორე პროგრამით

20.30 — სიმფონიური მუსიკა, 21.15 — საუბარი რუსულ ენაზე — „რელიგიის მსახურნი და სექტანტები კოსმოსური ფრენის შესახებ", 21.30—რადიომიმოხილვა — „თბილისის თეატრებსა და საკონცერტო დარბაზებში".

მსოფლიოსა და ევროპის ნაკრები

იტალიურმა ჟურნალმა „ილ კალჩო ედ ილ ჩიკლიზმო ილუსტრატომ" მოაწყო ადგილობრივ ჟურნალისტთა გამოკითხვა მსოფლიოს უძლიერეს ფეხბურთელთა დასახელებაზე, აგრეთვე „მსოფლიოს ნაკრების" შედგენაზე.

ჟურნალის აზრით, აი როგორ გამოიყურება „მსოფლიოს ნაკრები": შროიფი (ჩეხოსლოვაკია), არმფილდი (ინგლისი), შნელინგერი (გფრ), ზიტო (ბრაზილია), მალდინი (იტალია), მასოპუსტი (ჩეხოსლოვაკია), გარინჩა (ბრაზილია), შეკულარაცი (იუგოსლავია), ალბერტი (უნგრეთი), პელე (ბრაზილია), მესხი (სსრ კავშირი).

ყოველი სპორტული სეზონის დამთავრების შემდეგ ვარშავის ცნობილი სპორტული გაზეთი „პშეგლონდ სპორტოვი" ადგენს მსოფლიოსა და ევროპის ნაკრებ გუნდებს ფეხბურთში.

1962 წლისათვის ეს ნაკრებები ასე გამოიყურება:

მსოფლიო ნაკრები — მეკარე — შროიფი (ჩეხოსლოვაკია); მცველები — არმფილდი (ინგლისი), მაურო (ბრაზილია) და ნ. სანტოსი (ბრაზილია); ნახევარმცველები — მასოპუსტი (ჩეხოსლოვაკია) და როხასი (ჩილი); თავდასმსმელები — გარინჩა (ბრაზილია), შეკულარაცი (იუგოსლავია), ამირიღო, პელე (ორივე ბრაზილია) და ლ. სანჩესი (ჩილი).

ევროპის ნაკრები — მეკარე — შროიფი (სათადარიგო მეკარე იაშინი); მცველები — არმფილდი, მალდინი (იტალია) და შნელინგერი (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა). სათადარიგო მცველია იუსუფი (იუგოსლავია); ნახევარმცველები — ბლეჩჩფლაუერი (ჩრდილოეთ ირლანდია) და მასოპუსტი. სათადარიგო ნახევარმცველია ნეტო; თავდასხმელები — ჟერიონი (ბელგია), გერეში (უნგრეთი), ჯონ ჩარლზი (უელსი), შეკულარაცი და ჩარლტონი (ინგლისი). სათადარიგო მოთამაშეა სიგორი (იტალია).



პრემიერა კავგოლოვოში

სპორტული ზამთარი თავის უფლებებში შედის, სულ უფრო მატულობს მოთხილამურეთა და მოცურავეთა ასპარეზობების რიცხვი, რომლებიც მომავალი სპარტაკიადისა და ჩემპიონატების წინ ძალთა შემოწმებასა და გენერალურ რეპეტიციას წარმოადგენენ.

ახალი წლის სტარტზე ერთ-ერთ ასეთ შეჯიბრებას კავგოლოვოს საერთაშორისო ასპარეზობანე, როგორც მას უწოდებენ, კავგოლოვოს პრემიერა წარმოადგენს. ლენინგრადის ახლოს მდებარე ეს პატარა დაბა უკანასკნელ წლებში მოთხილამურეებისათვის ცნობილი გახდა, აქ მიიღეს მათ წრთობა, აჩვენეს თავიანთი ოსტატობა.

გასულ კვირადღეს კავგოლოვოს სტუმრები იყვნენ არა მარტო ჩვენი ქვეყნის სპორტსმენები, არამედ ფინეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ავსტრიის, ნორვეგიის, შვეიცარიისა და სხვა ქვეყნების მოთხილამურეები.

კავგოლოვოს პრემიერის პირველი დღის პროგრამაში შედიოდა ტრამპლინიდან ხტომა და სათხილამურო ორჭიდი. ტრამპლინიდან ხტომის სტარტზე გამოვიდა 95 სპორტსმენი, რომელთა შორის იყვნენ მსოფლიოს ჩემპიონი ჰ. რეკნაგელი (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა), მსოფლიო ჩემპიონატის პრიზიორი ნ. კაშენსკი (სსრ კავშირი) და სხვ.

მართალია, ნ. კაშენსკიმ პირველი ხტომის შესრულებისას აჩვენა მაღალი შედეგი (74 მეტრი), მაგრამ ეს შედეგი მას არ ჩაეთვალა, რადგან დაშვებისას დაეცა. სამაგიეროდ მომდევნო ორ ცდაში მისი მაჩვენებლები სტაბილური იყო (მესამე ცდა — 70,5 მეტრი) და პირველი ადგილი დაიკავა. მეორე ადგილზე გამოვიდა ნორვეგიელი ა. პაულსენი.

გუშინ გაიმართა მორიგი შეხვედრები. სათხილამურო გადაბენაში 5 კილომეტრზე ქალთათვის უძლიერესები იყვნენ საბჭოთა სპორტსმენები, რომლებმაც პირველი ექვსი ადგილი დაიკავეს.

ჩიმბულაკის თოვლიან გილიკებზე

ყაზახეთის მაღალმთიან ჩიმბულაკში ორიოდე წლის წინათ ჩაეყარა საფუძველი საბჭოთა და შვეიცარიელ სამთო მოთხილამურეთა მეგობრულ ასპარეზობას და მას შემდეგ ეს შეხვედრა ტრადიციული შეჯიბრება გახდა.

მიმდინარე წლის დასაწყისში შვეიცარიელები კვლავ ეწვივნენ ჩიმბულაკს.

გუშინ სწორადდაშვების სტარტზე გამოვიდენ ამ ორი ქვეყნის წარმომადგენლები. ტრასა მეტად რთული იყო. ბრძოლა აღინიშნა საბჭოთა სპორტსმენების უპირატესობით. მათ პირველი ადგილები დაიკავეს როგორც ქალთა, ისე ვაჟთა შორის. ესენი იყვნენ ლ. ვოლკოვა და გ. მინეევი.

თბილისელი ჩოგბურთელები ფინალში

თბილისში სამი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა ჩოგბურთში ჭაბუკთა საკავშირო შეჯიბრების ზონალური ასპარეზობა, რომელშიც მონაწილეობდნენ ბაქოს, ერევნისა და თბილისის მოსწავლეები.

წარმატებით დამთავრა ტურნირი თბილისის გუნდმა, რომელიც დაკომპლექტებულია ისეთი ჩოგბურთელებით, როგორიცაა ნანა თუხარელი, ალა ივანოვა, თამაზ კაკულია და სხვები. თბილისელმა მოსწავლეებმა მოუგეს მატჩები ერევნელ და ბაქოელ სპორტსმენებს და პირველი ადგილი დაიკავეს. (საქდესი).

რამდენიმე სტრიქონით

□ **გასულ** კვირადღეს მოსკოვში გაიმართა საერთაშორისო ამხანაგური მატჩი კალათბურთში. თამაშობდნენ ფინეთის სტუდენტთა კავშირის და მოსკოვის „ბურევესტნიკის" ვაჟთა ნაკრები. გაიმარჯვეს საბჭოთა კალათბურთელებმა ანგარიშით 81:74.

□ **იუგოსლავიის** ჩემპიონმა ფეხბურთში ბელგრადის „პარტიზანმა", რომელიც სტუმრად საბერძნეთში იმყოფებოდა, ათენში გამართა ორი მატჩი. პირველი შეჯიბრება საბერძნეთის თასის მფლობელ „ოლიმპიაკოსთან" „პარტიზანმა" ფრედ (1:1) დაამთავრა, ხოლო მეორე ამ ქვეყნის ჩემპიონთან „პანატინაიკოსთან" მოიგო 4:1.

რედაქტორი
დ. მჰედლიშვილი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტი და საქართველო